ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

## მეტეოროლოგები: „მსოფლიოს სტიქიებითა და ანომალიებით აღსავსე ექსტრემალური ზამთარი ელოდება“

გვ.11



5 — 6 ნოემბერი, 2011

№263 (5643)

ფასი: 30 თეთრი



## პაატა ზაქარეიშვილი: „ქართველებს ფსოუსა და როკის გვირაბთან არავინ დააყენებს!“

გვ.4



## გურამ ჩახვაძე: „ივანიშვილი დემოკრატიული მმართველი არ იქნება“

საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება!

გვ.3



## გამოუცხადებს თუ არა კოკოითი რუსეთს ომს

გვ.2



ბასანკოს უკრაინაში წამება ელის, ის სააკაშვილს თავშესაფარს სთხოვს



## როგორ აღმოჩნდა იულია ტიმოშენკოს მხარდამჭერი გლდანის ციხეში

გვ.5



## არის თუ არა საქართველოში ეკონომიკური კრიზისი მოსალოდნელი?

გვ.6

## კონსერვატიული პარტია თავის წევრებს სხვა პარტიის წევრებთან მეგობრობას უშლის

გვ.4





## თემურ წიკლაური: „გული არასდროს ბერდება!“

გვ.7

აქცია!

„ახალი თაობა“ + მარკესი

5 ლარი




ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ეროვნული ბანკის პრეზიდენტს პარლამენტში იბარებენ



გიორგი ცაგარეიშვილი

თეა მარხვაიძე

**ხელისუფლების წყალობით, „ქართუ ბანკი“ პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრი გახდა. უკვე რამდენიმე დღეა, ბანკის მისადგომებთან რიგები დგას. საზოგადოებას ივანიშვილისთვის მხარდაჭერის ნიშნად ბანკში ფული შეაქვს. როგორც ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, ახლა „ქართუ ბანკში“ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება.**

ხელისუფლებას ამ რიგების მიმართ თავისებური შეხედულება აქვს. „ქართუ ბანკი“ ხალხის ფუსფუსს ეჭვის თვალით უყურებს. მავანი კი ამტკიცებს, რომ ივანიშვილი ყველა მეანაბრეს 20 ათასის მალარიჩს ჰპირდება.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია ამტკიცებს, რომ „ქართუ ბანკის“ კრედიტორები პროკურატურაში დაიბარეს, სადაც ისინი გააფრთხილეს, რომ ბანკს ვალები არ გადაუხადონ.

ალასანიას გონივრული ეჭვი აქვს, რომ ხელისუფლებას ბანკის გაკოტრება სურს. ბანკზე არსებულ ზეწოლებზე „ქართუს“ ხელმძღვანელობაც საუბრობს.

ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა მათ გუნება აშკარად გამოუკეთა.

სააგენტო ინტერპრესნიუსთან საუბარში ბანკის ხელმძღვანელმა ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ ბანკ „ქართუში“ მეანაბრეთა რაოდენობა ყოველდღიურად გეომეტრიული პროგრესიით იზრდება.

მისი თქმით, პირველ დღეს გაიხსნა 732 ანგარიში, მეორე დღეს – თითქმის 1200, მესამე დღეს კი – 2 000-ზე მეტი.

– ჯამში, სამი დღის აქტიურობის შედეგად 4 ათასი ანგარიში გაიხსნა. ასეთი პრეცედენტი საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა, რომ ამდენ მეანაბრეს ერთდროულად შეეტანა ბანკში თუნდაც უმნიშვნელო თანხა. ამას ჩვენ სიხარულით ვხვდებით, რადგან კარგად ვაცნობიერებთ ამ ხალხის იდეას, რომელიც, რა თქმა უნდა, ბანკისთვის სერიოზული მხარდაჭერაა. განსაკუთრებით სასიხარულოა, როცა ხედავ, რომ ადამიანები იწყებენ უსამართლოდ დასჯილი ადამიანის თანადგომისთვის ბრძოლას, – განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

მისივე თქმით, ბოლო დღეების განმავლობაში ბანკიდან ანაბრების გადინების პროცესიც შეჩერდა. იმ კომპანიებსა და ბიზნესმენებს, რომლებმაც ბანკიდან ანაბრები გაიტანეს ან სხვა ბანკში გადაიტანეს, ნოდარ ჯავახიშვილი არ ასახელებს.

– ბანკთან ურთიერთობის შეწყვეტა პოლიტიკური ზეწოლის საფუძველზე მოხდა. ბანკის კლიენტურის ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ 18 ოქტომბერს მომხდარი ფაქტი იყო სიგნალი იმისა, რომ ხელისუფლება „ქართუს“ ებრძვის. მათ იფიქრეს, რომ არ ღირდა ფულის რისკის ქვეშ დაყენება. გვაქვს ასევე ინფორმაცია, რომ კლიენტურის დიდ ნაწილზე იყო პირდაპირი ზეწოლა ხელისუფლების ამა თუ იმ ოდიოზური წარმომადგენლისგან – მათ ეუბნებოდნენ, დახურეთ ანგარიშები ან სხვა ბანკში გადაიტანეთ, „ქართუში“ კი დატოვეთ კრედიტები და ნუ დაფარავთ. როცა ჩვენ გავიმარჯვებთ, ნახევარს აღარ გადაგახდევინებთო. ამ კლიენტებს შორის საკმაოდ ბევრნი იყვნენ ე.წ. სახელისუფლებო კომპანიები. მაგრამ ამ ტალღამ გაიარა და ბოლო დღეებში გადინების ფაქტები აღარ გვაქვს, – აღნიშნა ინტერპრესნიუსთან საუბარში ჯავახიშვილმა.

მისივე თქმით, ანაბრების გადინება ბანკს ფინანსურად გართულებებს არ შეუქმნის, რადგან ორგანიზაციის უკან ძალიან სერიოზული ფინანსური ძალა დგას.

ბანკის გარშემო მიმდინარე მოვლენები ყურადღების მიღმა არც საპარლამენტო ოპოზიციას დაუტოვებია. ჯონდი ბაღათურიამ დაახლოებით 2 კვირის წინ მოითხოვა „ქართუსთვის“ წართმეული ფულის დაბრუნება, მაგრამ ბაღათურიას არ დაუჯერეს, პირიქით, ამის შემდეგ ხელისუფლებამ მთელი რიგი ორგანიზაციები აიძულა, „ქართუდან“ სახელფასო ანაბრები გაეტანათ. ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ანგელოზის სახეს იღებს და ამ უმსგავსობასთან კავშირს უარყოფს. საპარლამენტო ოპოზიციას, კერძოდ, ფრაქციას „ერთობა სამართლიანობისთვის“ ამ ზღაპრების არ სჯერა.

უფრო მეტიც, ფრაქცია ხელისუფლებისგან სათანადო განმარტებებს ითხოვს. 4 ნოემბერს დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა ბრიფინგი გამართა. ის პარლამენტში ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის მისვლას ითხოვს.

– ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა ფრაქციის წევრებს უნდა აუხსნას ,,ქართუ ბანკში“ მიმდინარე მოვლენები. ფრაქციის წევრებს აინტერესებთ: საინკასაციო მანქანაზე თავდასხმის დეტალები, მიმდინარე შემოწმების ხანგრძლივობა და ბანკის ფინანსური მდგომარეობა. გიორგი ქადაგიძეს ფრაქცია მომავალ კვირას, მისთვის სასურველ დღეს იწვევს და ასევე გათვალისწინებული იქნება ინფორმაციის საიდუმლოება. შესაბამისად, შეხვედრის ნაწილი დახურულ რეჟიმში გაიმართება, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მას შემდეგ, რაც „ქართუს“ გარშემო ამბები ატყდა, გიორგი ქადაგიძე კომენტარებს დაუღალავად იძლევა. მისი კომენტარების მოსმენა ოპოზიციასაც გულით სწადია, თუმცა, საეჭვოა, ოპოზიციის სურვილი შესრულდეს. ეს ფრაქცია განათლების მინისტრმა უკვე ორჯერ გადააგდო. ჰოდა, რაღა ქადაგიძე მოვარდება პარლამენტში ოპოზიციის დაძახილზე.

თუმცა, მოვლენები ისე ვითარდება, შესაძლოა ქადაგიძე პარლამენტში უმრავლესობამ დაიბაროს.

# გამოუცხადებს თუ არა კოკოითი რუსეთს ომს

თეა მარხვაიძე

**იცით ალბათ, რომ ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან კიდევ ერთხელ წავიდა დათმობაზე. მოსკოვი ლამის 20 წლიანი წვალების შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კარს შეაღებს. ამის სანაცვლოდ კი საქართველო ფსოუს და როკის გვირაბთან დადგება.**




ედუარდ კოკოითი

რუსეთი, როგორც თავად ამბობს, ამ დათმობაზე წავა. სამაგიეროდ, აფხაზებმა და ოსებმა გაინერვიულეს თავი. „ინტერფაქსის“ ცნობით, ედუარდ კოკოითიმ ეს რომ გაიგო, ქოში სულ უკუღმა ყარა. მან პირობა დადო, რომ ქართველებს როკის გვირაბთან არ მიუშვებს.

ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ შესაძლოა კოკოითიმ რუსეთს ომიც კი გამოუცხადოს. ამის ალბათობა საკამოდ მცირეა, რადგანაც კოკოითის შიგ ცხინვალში უდგას რუსული სამხედრო ბაზა.

იგივე პოზიცია დაიკავეს აფხაზებმაც, რომლებიც კოკოითისგან განსხვავებით ცოტა უფრო რბილად გამოხატავენ პროტესტს.

როგორ განვითარდება მოვლენები, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ. რუსები მიღწეული შედეგით კმაყოფილები არიან. საქართველო კი...

...

მსო-ში რუსეთის მოსალოდნელ გაწევრიანებაზე აქტიურად წერს უცხოური პრესაც. გამოცემამ FT.kom იზაბელ გორსტის და სტეფან უეგსთილის მასალა გამოაქვეყნა. ამ სტატიის თარგმანს საიტი ფორეიგნპრესი გვთავაზობს.

ახლა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თითქოს მზადაა მისი მოსისხლე მტრის, რუსეთის მიმართ არსებული პრეტენზიები გვერდზე გადადოს და მას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების ნება დართოს, საინტერესოა პასუხი შეკითხვაზე: და რას მისცემს ეს საქართველოს?

იმის გამო, რომ რუსეთის არმია დღემდე იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მან 2008 წლის ომის დროს დაიპყრო, საქართველოს შეიძლება ეპატიოს მისი მუდმივი პრეტენზიები სავაჭრო ფრონტზე. მაგრამ თბილისს თანამშრომლობის დასაწყებად კარგი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები აქვს.

ჯერ ერთი, ამ საკითხის საყოველთაო განხილვამ მსოფლიოს შეახსენა იმ ინტერესების შესახებ, რომელიც საქართველოს მისი გამოყოფილი რეგიონების – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ გააჩნია. დღეს ამ ტერიტორიებზე რუსეთის შეიარაღებული ძალებია განთავსებული. მოსკოვმა ორივე რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, თუმცა მის მაგალითს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ მიბაძა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებულმა დიპლომატიამ ეს საკითხი, თუნდაც ირიბად, საერთაშორისო არენაზე დააბრუნა.

რუსეთის უარი, რომელიც მან საქართველოს თავდაპირველ მოთხოვნაზე განაცხადა, უსაფუძვლო არ იყო. ქართული მხარე რუსეთის და გამოყოფილი ტერიტორიების საზღვრებზე ქართველი მებაჟეების მხრიდან სავაჭრო ოპერაციებზე კონტროლს ითხოვდა. რთული წარმოსადგენია ის, რომ ქართველი მებაჟეები საზღვარზე რუსეთის არმიის გვერდიგვერდ იმუშავებენ.

ახლა რუსეთი განიხილავს საქართველოს წინადადებას იმის თაობაზე, რომ მონიტორინგი საერთაშორისო დამკვირვებლებმა განახორციელონ. ეს საქართველოს თვალსაზრისით ნაკლებად მომგებიანი ვარიანტია, რადგან არ აძლევს მას საზღვრებზე საკუთარი წარმომადგენლების განთავსების უფლებას და შესაბამისად საკუთარი ტერიტორიული უფლების გაცხადების შესაძლებლობას. მაგრამ ის უკეთესი ალტერნატივაა, რადგან ხაზს უსვამს იმას, რომ საზღვრები სადაოა, ან ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ასევე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც დაინახა ის, რომ დასავლეთში მისმა ზოგიერთმა მხარდამჭერმა მისი ომისწინანდელი ქმედებები პროვოკაციულად მიიჩნია. ერთგვარი მოქნილობა მას ახლა ვაშინგტონსა და ბრიუსელში რამდენიმე მეგობრის შეძენაში დაეხმარება.

აშშ-მ და ევროკავშირმა ფაქტობრივად აღიარეს, რომ რუსეთმა დაიბრუნა გარკვეული გავლენა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. და ისინი მზად არ არიან ამ მიმართულებით რამე მოიმოქმედონ თუკი მსოფლიოში არსებულ უამრავ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემას გავითვალისწინებთ.

საქართველომ განაცხადა, რომ აშშ-ს მხრიდან რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ზეწოლა არ უგრძვნია. თუმცა, იმის უარყოფაც არ ღირს, რომ შეერთებული შტატები საქართველოსთვის მადლობის გადახდის გზებს მოძებნის, თუკი მსო-ში მოსკოვის გაწევრიანება ბოლოს და ბოლოს წარმატებით დასრულდება.

იმავდროულად, არაკეთილგანწყობილი ჩრდილოელი მეზობლის საერთაშორისო სავაჭრო კლუბში მიღებით საქართველომ შეიძლება ეკონომიკური სარგებელი მიიღოს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრმა რუსეთმა უნდა დაიცვას ცივილიზებული სავაჭრო ურთიერთობები, რაც წევრი-ქვეყნების მხრიდან ერთმანეთის დაშინების შესაძლებლობას ართულებს. რუსეთს, როგორც ჩანს, ყველა შემთხვევაში მოუწევს, 2006 წელს ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანაზე შემოღებული აკრძალვის გაუქმება, რამაც საქართველოს ექსპორტს სერიოზული ზიანი მიაყენა. შეიძლება მომავალ ში მსგავსი აკრძალვების შემოღება გართულდეს, თუმცა შეუძლებელი ის მაინც ვერ გახდება.

2008 წელს, საქართველომ ახალი პარტნიორები მოიძია და შეეცადა ესარგებლა თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობით ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე.

რუსეთი, რომელიც ქართული ექსპორტისთვის ტრადიციული მიმართულებაა, დღეს ამ პატარა ქვეყნის სავაჭრო პარტნიორების სიაში მეექვსე ადგილზეა. ქართული ლითონისა და მინერალების, მათ შორის ოქროს ექსპორტის ძირითად ბაზრებად თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და ჩინეთი იქცნენ.

ჩინეთი, ყაზახეთი და ევროკავშირში ქართულ ღვინოს სვამენ, ოღონდ იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ამას ოდესღაც რუსეთი აკეთებდა. მინერალური წყალი „ბორჯომი“, რომელიც ცნობილია ნაბახუსევზე მისი გამაჯანსაღებელი ეფექტით, დასავლური გემოვნებისთვის ზედმეტად მარილიანია, მაგრამ კარგად იყიდება დსთ-ს ქვეყნებში, სადაც საბჭოთა პერიოდზე ნოსტალგიაა.

მამაცი საქართველო შექებას იმსახურებს ექსპორტის დივერსიფიკაციისთვის, მაგრამ მისთვის სასარგებლო იქნება ასევე სავაჭრო კავშირის აღდგენა რუსეთის უზარმაზარ ბაზართან მსო-ს წესების ფარგლებში. საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ომამდე რეკორდული 2,1 მილიარდი დოლარიდან წელიწადში 600 მილიონ დოლარამდე შემცირდა, მაგრამ თუკი რუსულ ბაზარზე გასვლა სტაბილური გახდება, ინვესტიციები შეიძლება გაიზარდოს.

ბოლოს და ბოლოს, მსო-ს წევრობამ საქართველოს უსაფრთხოება შეიზლება განამტკიცოს. ცნობილი ფაქტია ის, რომ მთელი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კონტრაბანდისტებისთვის შავი ხვრელი იყო, რომ უკანონო რეგიონები თბილისის გავლენისგან თავის დაღწევას 2008 წლამდეც ცდილობდნენ. საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლები მაშინ სამხრეთ ოსეთს ეძახდნენ „დაუბეგრავი ვაჭრობის ყველაზე დიდ მაღაზიას მსოფლიოში“.

საქართველო დარწმუნებულია, რომ რუსეთის საიდუმლო პოლიციის სერიოზული მეთვალყურეობის პირობებშიც, გამოყოფილი ტერიტორიები კონტრაბანდული საქონლისთვის სატრანზიტო ტერიტორიებად რჩება. მონიტორების რაოდენობის გაზრდა მათ დახმარებას შეძლებდა.

„ფაქტია ის, რომ ვაჭრობა საზღვრებთან კორუმპირებული და საკმაოდ ბუნდოვანია“, – მიაჩნია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ სერგი კაპანაძეს.

„არ არსებობს გამჭვირვალეობა და აღრიცხვის მექანიზმი იმისა, თუ რა შემოდის ან გადის საქართველოდან. უცხოელი დამკვირვებლები შეძლებდნენ ამ სიტუაციის გამოსწორებას. „ეს არის ის, რასაც ამ შეთანხმებით მივიღებთ“.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თამარ ნინიძე

# გურამ ჩახვაძე: „ივანიშვილი დემოკრატიული მმართველი არ იქნება“

## საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება!

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, განსხვავებით მემარჯვენეებისა და ქრისტიან-დემოკრატებისგან, ბიძინა ივანიშვილს კვლავ არასანდო პოლიტიკოსად მიიჩნევს. რას ეფუძნება ამ პარტიის ეჭვები, რას თვლის ხელისუფლების პოპულისტურ ნაბიჯად და რა ეკონომიკურ რეფორმებს სთავაზობს სააკაშვილს, ამ საკითხებზე „ახალ თაობას" პარლამენტის დეპუტატი და ედპ-ის წევრი გურამ ჩახვაძე ესაუბრა.**

***— როგორ აფასებთ პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას 45-დან 60 წლამდე ადამიანების დასაქმების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ?***

— ჩემი აზრით, ეს არის პოპულისტური განცხადება. თუ უმუშევრობის დაძლევაზეა საუბარი, ქვეყნის პირველმა პირმა უნდა წარმოადგინოს სისტემური ხედვა. ამაში უნდა შედიოდეს დასაქმება ამ ასაკის ადამიანებთან ერთად ახალგაზრდებისაც. Eეროვნულ-დემოკრატებს საკუთარი ხედვა გვაქვს ამასთან დაკავშირებით. ქვეყანაში უნდა იყოს სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც რეგულირებას გაუწევს შრომის ბაზარს, დასაქმებას და, შესაბამისად, უმუშევრობის შემცირებას. ასეთი ვალდებულება სახელმწიფოს აღებული აქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის შესაბამისად. ჩვენ უნდა დავადგინოთ, რამდენი უმუშევარი გვყავს. მათ რეგისტრაცია უნდა გაიარონ შრომის ბირჟაზე ან იმ სააგენტოში, რომელსაც სახელმწიფო შექმნის. Aაქედან მივიღებთ მკაფიო სურათს, რა პროფესიის ადამიანები არიან უმუშევრები, რა ასაკის, ან არიან თუ არა საპენსიო ასაკის. სახელმწიფო ამის შემდეგ იწყებს ფიქრს, ეკონომიკის განვითარებისთვის რომელ სფეროშია უფრო მეტი მოთხოვნილება დასაქმებისა. თუ უმუშევართა პროფესია არ პასუხობს ეკონომიკის მოთხოვნილებას, მაშინ ერთვება პროფესიული გადამზადების მექანიზმი. კანადაში კარგად არის აპრობირებული ეს ინსტიტუტი, ეს სამსახური უზრუნველყოფს უმუშევრების თვითდასაქმებას, რასაც მცირე ბიზნესის განვითარება ჰქვია. მნიშვნელოვანი კომპონენტია უმუშევრობის დაზღვევა. როცა ადამიანი დასაქმებულია, მისი საშემოსავლო გადასახადიდან თანხა მიდის ფონდში, რომელსაც კურირებს სახელმწიფო სააგენტო და სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში ადამიანი აღარ იქნება დამოკიდებული შემწეობაზე. ხელფასის თუნდაც 70%-ს იღებს და არ არის დამოკიდებული ფიქსირებულ თანხაზე. Aამავე დროს, ადამიანი პროფესიულ გადამზადებას გადის. ამას სახელმწიფო აფინანსებს. Eეს არის სწორი მიდგომა და არა იმ თაობის გულის მოგება, რომელსაც ადრე ჩარეცხილებს უწოდებდი.

***— თუ მმართველ პარტიას ასეთი კონცეფცია არ გააჩნია, ედპ არ სთავაზობს თქვენეულ ვარიანტს?***

— ბიუჯეტის განხილვის დროს როცა პრეზიდენტი მიდის პარლამენტში, ჩვენეულ ხედვას ვთავაზობთ, მაგრამ, მათგან ვიღებთ პასუხს, რომ ქვეყანა ჯერ ამისთვის მზად არ არის. Eეს არასწორია, იმიტომ რომ წამყვანმა ქვეყნებმა ზუსტად მაშინ შექმნეს ასეთი სისტემა, როცა იყო ტოტალური უმუშევრობა, დეპრესიები. ჩვენ გვინდა, ამ წინადადებების პრეზენტაცია გავმართოთ.

***— ჩემი ინფორმაციით, 2012 წელი სოფლის მეურნეობის წლად არის გამოცხადებული, ამავე დროს, მომავალი წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის დაფინანსება 10 მილიონი ლარით არის შემცირებული, გარდა ამისა, დაფინანსება უმცირდებათ ეკონომიკისა და ლტოლვილთა სამინისტროებსაც, Pშსს და თავდაცვის სამინისტროების ხარჯები კი იზრდება. როგორ აფასებთ ამ პოლიტიკას?***


გურამ ჩახვაძე

— 2012 წლის ბიუჯეტით უზრუნველყოფილი იქნება ხელისუფლება, თავდაცვა, მართლწესრიგი, ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ მთავრობა უარს აცხადებს ისეთ მიმართულებაზე, როგორიც არის მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და სოფლის მეურნეობა. ჩვენთან მინიმალური სახელმწიფო პენსია არის 55 ლარი, ერთ ადამიანზე საარსებო მინიმუმი არის 155 ლარი. შეუძლებელია, ადამიანმა იარსებოს ამ თანაფარდობით. ცალკე თემაა, რამდენად ადეკვატურია ეს საარსებო მინიმუმი არსებულ ვითარებასთან. საერთაშორისო ორგანიზაციები გვთავაზობენ, სოფლის მეურნეობაზე წავიდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 1%. Eეს დაახლოებით 300 მილიონია. ბიუჯეტში კი გამოყოფილია სოფლის მეურნეობისთვის 70 მილიონი ლარი. მთავრობა ქაოსურად ახორციელებს რაღაც პროგრამებს, მაგალითად, ჰიბრიდული სიმინდის პროგრამას. სოფლის მეურნეობას ინსტიტუციური გამაგრება სჭირდება. ჩვენი ქვეყანა წვრილი ფერმერული მეურნეობებით არის დასახლებული. Aამ წვრილი მეურნეობების კოოპერაციული გაერთიანება უნდა მოხდეს, მაგრამ არა ადმინისტრაციული ზეწოლით, როგორც იყო სოციალიზმის დროს, არამედ ეკონომიკური მოტივაციით. ასეთ კოოპერატივებს სახელმწიფო ეხმარება გრძელვადიანი კრედიტით, ტექნიკით, საწვავით და მოწეულ მოსავალს გაატანინებს გასაღების ბაზარზე. Bბევრ ქვეყანაშია აგრარული დაზღვევის სისტემა, ესეც უნდა შემოვიღოთ და აქაც სახელმწიფოს წილი უნდა იყოს დიდი, რადგან კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის ეს დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

***— მთავრობა ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის განვითარების წილს იმიტომ ხომ არ ამცირებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების იმედი აქვს?***

— სახელმწიფო უარს ამბობს დიდ დახმარებაზე და ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში არსებულმა კერძო სტრუქტურებმა უნდა იზრუნონ თავიანთ განვითარებაზე, რაც არასწორია. ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სახელმწიფოს წილი ძალიან მცირეა, ძირითადად საერთაშორისო ბანკებიდან შემოსული თანხით ვითარდება ეს დარგი. ედპ მთავრობას სთავაზობს, სოფლის მეურნეობის სფეროსთვისაც სახელმწიფომ იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მოიზიდოს თანხები. Mმსოფლიო სასურსათო კრიზისიდან გამომდინარე, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ხალისით დათანხმდება ქართული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის თანხების გამოყოფას.

***— რუსეთის ეკონომიკური ბაზარი რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჩინეთის მილიარდიან მოსახლეობას ჩვენ როგორ უზრუნველვყოფთ ღვინით?***

— ყველაზე კარგ პერიოდში, როცა გაგვქონდა ჩვენი პროდუქცია რუსულ ბაზარზე, სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, არ იყო დიდი თანხები საქართველოში შემოსული. დაახლოებით 200 მილიონ დოლარზეა საუბარი. მაშინაც კი არ იყო ჩვენი ეკონომიკისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი. წელს რუსეთის ეკონომიკიდან 70 მილიარდი დოლარის კაპიტალი გავიდა საზღვარგარეთ, თვითონ რუსებმა გაიტანეს ეს კაპიტალი, რადგან არაკომფორტულად გრძნობდნენ თავს. ჩვენი მეწარმეები იძულებული გახდნენ, ორიენტაცია გაეკეთებინათ დასავლეთისა და ჩინეთის ბაზარზე მას შემდეგ, რაც ჩვენთვის რუსეთმა ბაზარი ჩაკეტა. ქართველმა მეწარმეებმა დაიწყეს იმ სტანდარტებზე მუშაობა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ბაზრებს. ხარისხმაც იმატა. ბატონი კუკავას ინიციატივას რაც შეეხება, ეს არ ხდება კერძო პირის ინიციატივის დონეზე. Eეს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. რუსეთი დაემორჩილება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს და ის პოლიტიკური მოტივით კი არ დაიწუნებს პროდუქციას, არამედ საერთაშორისო დაწესებული ნორმებით იხელმძღვანელებს.

***— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთი დეკემბერში უნდა გაწევრიანდეს. საინტერესოა, საქართველოსთვის ამ მოვლენას რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს?***

— იდეალური ვარიანტი იქნებოდა, ამ ორგანიზაციაში წევრობის სანაცვლოდ რუსეთს უკან წაეღო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება. ახლა უნდა ვიმსჯელოთ არსებულ რეალობაზე. Eეს მონიტორები განლაგდებიან ზუსტად იქ, სადაც არის რუსეთ-საქართველოს საზღვარი. ირიბად, მაგრამ რუსეთი აღიარებს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, ტვირთების გაკონტროლებაც მნიშვნელოვანია, ეს ტვირთები მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულების არ არის, აქ სამხედრო ტვირთებზეც არის საუბარი. საერთაშორისო მონიტორები ამასაც დააფიქსირებენ და საქართველოს უსაფრთხოებისთვის ეს ფაქტორიც მნიშვნელოვანია.

***— ახალი პოლიტიკური სუბიექტის ივანიშვილის ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ გამოცოცხლდა პოლიტიკა, გააქტიურდნენ პარტიებიც. როგორ შეაფასებთ მეორე პოლიტიკური პოლუსის დაფიქსირებას?***

— როცა საუბარია პოლუსებზე, ჯერ კიდევ წინ არის ამის დაფიქსირება. ივანიშვილმა ეს პოლუსი რეალურად უნდა ჩამოაყალიბოს. ის ახლა პირველ ნაბიჯებს დგამს პოლიტიკაში.

***— ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ მწვავედ შეაფასა ივანიშვილის მთელი რიგი განცხადებები და სურვილები. Aუფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— ეს ძალა ჯერ ჩამოუყალიბებელი რომ არის, ჩანს მისი პასუხებიდან საშინაო პოლიტიკასთან მიმართებით. ერთადერთი, რაზეც მყარი პოზიცია აქვს, ეს არის დამოკიდებულება რუსეთთან, ევროკავშირთან და ნატოსთან, ასევე საქართველო-რუსეთის ომთან. რა შეხედულებებიც აქვს ამ ადამიანს, დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციაზე ვართ ჩვენ. ივანიშვილისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვთვლით, რომ 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო. ფაქტია, რომ ეს არ დაწყებულა 2008 წელს. რუსეთს სურს, საქართველო მის ჯიბეში იყოს და მის საშინაო საქმეში ჩარევის აგრესიული პოლიტიკა გაცილებით ადრე დაიწყო. ივანიშვილი რუსებზე არ ამბობს, რომ ისინი არიან ოკუპანტები. Nნატოზე მისი პასუხიც არ არის მკაფიო, რომ საქართველო აუცილებლად უნდა იყოს ამ კავშირის წევრი. ის საუბრობს ბალანსზე საგარეო პოლიტიკაში და რომ საქართველომ ძირითად მოთამაშეებთან ერთად უნდა იპოვოს თავისი ადგილი. ჩვენთვის ეს მისაღები არ არის, საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი და ბალანსზე საუბარიც ზედმეტია. ეს არის ჩვენი მყარი პოზიცია. პუტინი რეფორმებს მოახდენსო, ამბობს, ამ დროს პუტინი რეფორმაზე სხვა წარმოდგენის არის. მას ევროაზიური კავშირის შექმნა სურს, რაც ქართველებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. კარგად ვიცნობთ რუსეთის სამხედრო დოქტრინას, რომელშიც ის არაკეთილმოსურნედ თვლის ნატოს და იმ ქვეყნებსაც, რომლებსაც ნატოში გაწევრიანება სურთ. რუსეთს აშკარად სურს, რომ სამხრეთ კავკასია მისი გავლენის სფეროში იყოს. ჩვენ ნეიტრალური სახელმწიფო ვერ ვიქნებით. გავითვალისწინოთ წარსულის გამოცდილება. ივანიშვილი დემოკრატიული მმართველი არ იქნება, გამომდინარე მისი განცხადებებიდან.

ხადარკოვსკი, მისი განცხადებით, დასასჯელი იყო. უბრალოდ, ამბობს, რომ შერჩევით მოხდა მისი დასჯა და სხვებიც უნდა დაესაჯათ. ერთიერთზე იმას იმეორებს, რასაც პუტინი.

***— ივანიშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილმა ანტიდემოკრატიული ქმედებებით დიდი ხნით გადასწია ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა. ეთანხმებით ამ პოზიციას?***

— ნაწილობრივ ვიზიარებ. დემოკრატიის სტანდარტები, რომლებიც ნატოში გასაწევრიანებლად ქვეყანას სჭირდება, საქართველოში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ვერ დავეთანხმები, რომ დიდი ხნით გადაიწია ამ პერსპექტივამ და იმედი უნდა გადაგვეწუროს. ჩიკაგოს სამიტზე მომავალი წლის გაზაფხულზე აშშ კვლავ დასვამს საკითხს საქართველოსთვის მაპის მინიჭების შესახებ. აშშ-მ ახლახან მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „საგზაო რუკა საქართველოსთვის". ეს ყოველივე ცხადყოფს იმას, რომ უიმედოდ არ უნდა ვიყოთ. Mმე ვფიქრობ, ივანიშვილს არ უნდა, საქართველო ნატოს წევრი გახდეს და ამიტომ საუბრობს შორეულ პერსპექტივებზე.

***— ამ პარლამენტს ვადა 2012 წლის 21 მაისს ეწურება. რატომ ინიშნება არჩევნები შემოდგომაზე, ხომ არ არის ეს არასაკონსტიტუციო გადაწყვეტილება?***

— ბოლო საპარლამენტო არჩევნები ვადამდე ადრე იყო დანიშნული. კონსტიტუციით სწორედ შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს. ზამთარში საარჩევნო კოდექსი უნდა მიიღოს მოქმედმა პარლამენტმა. დრო იქნება საჭირო იმისათვის, რომ პარტიებმა ახალ კოდექსთან ადაპტაცია მოახდინონ.

# საია პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს

საია შეშფოთებას გამოთქვამს პატიმარ მურმან კალანდიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით.

საია-ს განცხადებით, ზუგდიდის მე-4 საპყრობილის პატიმარი 2011 წლის 31 ოქტომბერს გარდაიცვალა საპყრობილიდან თბილისის ციხის საავადმყოფოში გადაყვანის დროს. გარდაცვალების ზუსტი მიზეზები სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად უნდა დადგინდეს. თუმცა, გარდაცვლილის ოჯახის წევრმა მათთან საუბარში გამოთქვა ეჭვი, რომ კალანდიას გარდაცვალების მიზეზი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობაა.

— სამწუხაროა, რომ პატიმართა გარდაცვალების ფაქტებს კვლავ აქვს ადგილი და თანაც უკანასკნელ პერიოდში გახშირებული პერიოდულობით, რაც ყოველმხრივ გაუმართლებელია და სათანადო რეაგირებას საჭიროებს. საია იმედოვნებს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოხდება შესაბამისი რეაგირება და გამოძიება წარიმართება სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად, რათა პასუხი გაეცეს ოჯახისა და საზოგადოების კითხვებს, — განაცხადეს საია-ში.

**ინტერპრესნიუსი**

# ნიკა გილაური: ვაჭრობას კონტროლსა და მონიტორინგს შვეიცარიელი მხარე გაუწევს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას მნიშვნელოვნად აფასებს.

როგორც მან მთავრობის სხდომაზე განაცხადა, საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებები რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ქართულ მხარეს კონკრეტული მოთხოვნების ჰქონდა.

მისი თქმით, მისასალმებელია შვეიცარიული მხარის მიერ შეთავაზებულ დოკუმენტში ეს მოთხოვნები აისახა. მან ხაზი უპირველესად იმ გარემოებას გაუსვა, რომ ვაჭრობას, კონტროლსა და მონიტორინგს შვეიცარიელი მხარე გაუწევს და ის უბრალოდ, დამკვირვებელი არ იქნება.

— მეორე მნიშვნელოვანი გარემოება საქართველოს მთელ ტერიტორიასა და რუსეთს შორის ერთგვაროვანი სავაჭრო რეჟიმის დამყარება იქნება. შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიასა და რუსეთს შორისა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას სხვადასხვა რეჟიმი არ იარსებებს. ამასთან, ამიერიდან საქართველოს სრულად მიეწოდება ინფორმაცია იმაზე, თუ რა ტიპის ვაჭრობა არსებობს რუსეთსა და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის, — აღნიშნა ნიკა გილაურმა.

მისი თქმით, დოკუმენტს, პრეზიდენტის განცხადების თანახმად, რუსული მხარე უკვე დაეთანხმა.

ნიკა გილაურის შეფასებით, ეს დოკუმენტი რეალურად წინ გადადგმული ნაბიჯია.

**მედიანიუსი**

# პაატა ზაქარეიშვილი: „ქართველებს ფსოუსა და როკის გვირაბთან არავინ დააყენებს!“

ნათია ხურცილავა

### მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით რუსეთმა თანხმობა განაცხადა. რა მოიგო და რა წააგო საქართველომ შვეიცარიის მიერ შემოთავაზებული ვარიანტით?

რა შინაარსის დოკუმენტი შეიმუშავეს მხარეებმა? იქნება თუ არა აღნიშნული დოკუმენტი საჯარო? ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი ესაუბრება?

*— ბატონო პაატა, თქვენ ამბობთ, რომ ევროპამ და ამერიკამ აიძულეს საქართველო, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო. მათი ინტერესები დააკმაყოფილეს. საქართველომ?*

— მათ თავიანთი ინტერესები ჰქონდათ და ამ ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეს. მათთვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთის გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ეს იყო ევროპისა და ამერიკის მთავარი ინტერესი. ამას ხელს უშლიდა მხოლოდდამხოლოდ საქართველოს პოზიცია. ისინი საქართველოსგან ითხოვდნენ, საერთო გვეპოვა რუსეთთან. მათი პოზიციაა: ჩვენ გვჭირდება რუსეთი, როგორც პარტნიორი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

*— ამერიკისთვისაც და ევროპისთვისაც რუსული ბაზარი მნიშვნელოვანია.*

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ისინი ამბობენ: თქვენ არ გჭირდებათ რუსული ბაზარი, ჩვენ გვჭირდება. ჩვენ ხომ გეხმარებით თქვენ, ჩვენ გარეშე ხომ სულს ღაფავთ, რა გახდა, რომ ამ ჩვენს ინტერესს ეწინააღმდეგებით? ასეთი იყო მათი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. თუ თქვენ ვერ იპოვით საერთო ენას, ჩვენ მაინც მივიღებთ რუსეთს. ეს კი თქვენთვის წამგებიანი იქნება. ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს სუვერენიტეტს და არ გვინდა, რომ საქართველოს ნების გარეშე გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც საქართველოს ნების გარეშე მოგვიწევს. შვეიცარიულმა მხარემ საქართველოს გამოსავალი შესთავაზა. საქართველოს სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი, რადგან მან თავად მოიქცია თავი ამ ხაფანგში. ადამიანი ორმოში რომ ჩავარდება, მისი ბრალია და სხვას არ უნდა დააბრალოს. თვითონ მოინდომა ფსოუსა და როკის გვირაბზე ქართველი ჩინოვნიკები საქართველოს დროშით, რაც აბსურდი იყო.

*— თქვენ იმ მოთხოვნაზე საუბრობთ, რომელიც ქართულ მხარეს ჰქონდა საზღვრის ერთობლივ კონტროლზე?*

— დიახ. ეს არ გამოვიდოდა. არ შეიძლებოდა, რადგან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთმა აღიარა და ამას არ დაუშვებდა. ძალიან უგუნური უნდა ყოფილიყავი, რომ ეს მოთხოვნა დაგეფიქსირებინა მოლაპარაკების პირობად. როდესაც მიხვდა საქართველო, რომ წინდაუხედავი პოზიცია დააყენა მოლაპარაკებებზე, იძულებული გახდა, დათანხმებოდა იმ პირობებს, რომლებიც შვეიცარიამ შესთავაზა.

*— რა პირობებზეა საუბარი, ალბათ ამის განხილვა დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ უფრო შეგვეძლება.*

— ამიტომ ჯერ ჩვენ მხოლოდ აქცენტების დასმა შეგვიძლია. აშკარად ჩანს, რომ დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული სიტყვები „საქართველო-რუსეთის საზღვარი“. თუ ასეა, ეს ნიშნავს, რომ დოკუმენტი წაკითხვის მრავალი ვარიანტის საშუალებას იძლევა. საქართველო წაიკითხავს, რომ ეს არის საქართველო-რუსეთის საზღვარი. აფხაზეთი წაიკითხავს, რომ ეს არის აფხაზეთ-რუსეთის საზღვარი. სამხრეთ ოსეთი წაიკითხავს, რომ ეს არის სამხრეთ ოსეთ-რუსეთის საზღვარი. რუსეთი კი — რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი. ვისაც როგორც მოესურვება, ისე წაიკითხავს ამ დოკუმენტს. თუ ასეა, გამოდის, რომ ძალიან ბუნდოვანია. მეორე, სააკაშვილს მხოლოდდამხოლოდ სიმბოლოდ რომ უნდოდა ქართველი ჩინოვნიკების დაყენება როკსა და ფსოუზე, ჩანს იქიდან, რომ მოლაპარაკებები იყო მხოლოდ სახმელეთო-გამშვებ პუნქტზე, სადაც ფორმიანი ადამიანები დროშებით გამოჩნდებიან.

*— საზღვაო და საჰაერო საზღვრები არ იყო მოლაპარაკების საგანი?*

— არა. საერთოდ ამოგდებული იყო მოლაპარაკებებიდან. გახსოვთ, სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი რომ იყო, თეთრფორმიანი ადამიანები დააყენა იუსტიციის სამინისტროს წინ. აი, ამ დონის აზროვნებაა ქართულ პოლიტიკაში. მას სჭირდება ფორმიანი კაცი, რომელიც სადღაც დადგება გაშეშებული, რომ თქვას მერე, იქ საქართველოს საზღვარიაო. მიაფუჩეჩა საჰაერო და საზღვაო ტვირთები, მთელი ყურადღება გადატანილი იყო იქ, სადაც საქართველომ კოდალასავით თავი ურტყა. იმის მაგივრად, რომ ვიდგეთ ფსოუსა და როკზე, გნებავთ, საერთაშორისო დამკვირვებლები, ჩვენ ვდგავართ ზუგდიდსა და გორში.

*— ზუგდიდსა და გორში ხომ ისედაც ვიდექით?*



პაატა ზაქარეიშვილი

— ესაა საქმე. გამოდის, არაფერი მიგვიღია. ეს არაფერი არ არის. 20 წელი, კარგი გამოთქმაა, წყალს ვნაყავდით.

*— ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ამბობს, რომ ევროკავშირის, შესაძლებელია, შვეიცარიელი მონიტორები განთავსდნენ მდინარე ფსოუზე და როკის გვირაბთან, რომლებიც ტვირთების მოძრაობაზე ინფორმაციას საქართველოს მოაწვდიან, რაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის.*

— ის ადამიანები, რომლებიც მონიტორები იქნებიან, რუსეთის მხარეს დადგებიან და არა საქართველოსი. ისინი არ დადგებიან არც აფხაზეთის და არც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომლებიც საქართველოს ეკუთვნის და დღეს ოკუპირებულია. ის ადამიანები რომელიღაც ქვეყნის მოქალაქეები იქნებიან. შეიძლება, მათ შორის შვეიცარიის მოქალაქეებიც იყვნენ, მაგრამ წარმოადგენენ არა შვეიცარიას, არამედ კონკრეტულ საბაჟო დამოუკიდებელ კომპანიას. სწორედ ეს იყო რუსეთის კიდევ ერთი პირობა.

*— რომ სახელმწიფოს წარმომადგენლები არ ყოფილიყვნენ?*

— დიახ, რომ კერძო კომპანიის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. რუსეთმა ეს პოზიცია გაიტანა.

*— კიდევ რა პოზიცია გაიტანა, თქვენი ინფორმაციით?*

— კერძო სექტორი რომ ყოფილიყო და ქართული მხრიდან, საქართველოს ტერიტორიაზე გამშვები პუნქტები ყოფილიყო იქ, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, ანუ ზუგდიდსა და გორში. ამით მსოფლიოს დააფიქსირებინა, რომ იმ ტერიტორიებზე საქართველოს არაფერი ესაქმება.

*— ეკონომიკურ დეტალებზე რომ ვისაუბროთ, ამერიკასა და ევროპას სურთ, რუსულ ბაზარზე კანონიერი გზით შევიდნენ.*

— არა მარტო რუსულ ბაზარზე შევიდნენ, არამედ მათ უნდათ, რომ რუსული პროდუქცია ცივილიზებული ფორმებით, გარკვეულ კანონებში ჯდებოდეს. რუსებს თავიანთი საქონელი გაჰქონდათ საზღვარგარეთ და, როგორც უნდოდათ, ისე ყიდდნენ, მაგალითად, თვითმფრინავებს, იარაღს და ა.შ.

*— ახლა ეს პროცესი ცივილიზებულ ჩარჩოში მოექცევა.*

— ეს არ ნიშნავს, რომ ასე იქნება, მაგრამ შედარებით უფრო ცივილიზებული გახდება, რადგან რუსეთი არ არის ის სახელმწიფო, რომელიც ყველა წესს დაემორჩილება, პირიქით, აურ-დაურევს სიტუაციას, მაგრამ ეს არევ-დარევა ურჩევნიათ იმას, რასაც აქამდე აკეთებდა რუსეთი ამ ორგანიზაციის გარეთ.

*— როგორ ფიქრობთ, ბატონო პაატა, თანხმობით საქართველომ წააგო თუ მოიგო?*

— არც წააგო და არც მოიგო. რაც ჰქონდა, ის მიიღო. წააგო მორალურად, დაახლოებით ისე, სააკაშვილი რომ ამბობდა, 2009 წელს ნატოში ვიქნებითო. ჩვენ ჩვენივე წინდაუხედავი, ვოლუნტარისტული პოლიტიკის მძევლები ვართ. ვთქვით, რომ ხელს არ მოვაწერთ, ვიდრე ფსოუსა და როკის გვირაბთან არ დადგებიან ქართველი მებაჟეები. რუსებმა თქვეს, ამას არ დავუშვებთო და რუსეთმა არ დაუშვა. საქართველო ხელს აწერს დოკუმენტს, სადაც ქართველი მებაჟეები არ დგანან ფსოუსა და როკზე. თუ ამ მიმართულებით ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, საქართველომ წააგო, მაგრამ, რუსეთი რომ ხდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და ჩვენ ვართ ამ ორგანიზაციის წევრი, თუ მოიგო მსოფლიომ, მაშინ ჩვენც მოვიგეთ, თუ მსოფლიოს ნაწილი ვართ. თუ გრძელვადიან პერსპექტივას შევხედავთ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და კარგია, რომ, როგორც იქნა, საქართველომ ძალიან გვიან და არცთუ ისე სასარგებლო პოზიციაში თვითონ ჩაიგდო თავი. ამას ვერავის დავაბრალებთ, მაგრამ მაინც გონივრული გადაწყვეტილება მიიღო.

*— თანხმობაც რომ არ გვეთქვა, რუსეთი მაინც გაწევრიანდებოდა?*

— როგორც ჩანს, გაწევრიანდებოდა. აშკარად ჩანს, რომ საქართველოს სიჯიუტე ყელში ამოუვიდა. სავარაუდოდ, ერთ-ერთი ბოლო არგუმენტი იყო, თუ თქვენ არ მიიღებთ გადაწყვეტილებას, ჩვენ იძულებული ვიქნებით, რომ გადავხედოთ ჩვენს დამოკიდებულებას თქვენ მიმართ და თქვენ გარეშე მივიღოთ რუსეთიო. რუსეთის მიღება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მუდმივად კეთილგანწყობის დაფიქსირება ჩვენ მიმართ.

*— სტრატეგიული პარტნიორობა, მოკავშირეობა, ტერიტორიული მთლიანობის აღიარება მხოლოდ დიპლომატიის ენაა?*

— რატომ? ჩვენ ჩავხტით ამ ორმოში და იმათ რა ქნან. რუსეთმა ჩაგვითრია პროვოკაციაში. რუსეთს ძალიან უნდოდა, საქართველოს დაეწყო ომი. ყველაფერი გააკეთა ამისთვის. ჩვენ რუსულ თამაშს ავყევით. გფბ-ის პროექტით შევქმენით დიმა სანაკოევის პროექტი. დღემდე ჯიუტად გავიძახით, რომ ეს კარგია. ვლადიმერ სანაკოევმა თქვა, რომ ეს გფბ-ის პროექტია. სულ გფბ-ის პროექტს ატარებს საქართველო კონფლიქტების მიმართულებით. არ ვსაუბრობ ეკონომიკაზე, ყველაფერი რუსეთის ხელში რომ არის. ვიკილიქსმა გამოაქვეყნა მასალები, სადაც ამერიკის მაშინდელი ელჩი, ჯონ ტეფტი, ესაუბრება მერაბიშვილს, რომ აფხაზებს პირდაპირ დაელაპარაკოს საქართველო. ის ეუბნება: დაელაპარაკეთ აფხაზებს, ომს აპირებს რუსეთი. არა, რუსმა გენერალმა მითხრა, ცხინვალი ჩვენ არ გვაინტერესებსო. როდესაც ასეთი „დაბმული“ ჰყავხარ რუსეთს, როგორ უნდა დაგეხმაროს დასავლეთი? პირდაპირ ეხვეწებოდა ტეფტი ბაღაფშს, დაველაპარაკოთო. ბაღაფში ლოთია, მასთან ლაპარაკს აზრი არა აქვსო. ის მაინც ეთქვა, რომ რუსეთი აკონტროლებს სიტუაციას. აფხაზები აკონტროლებენო. ახლა ანქვაბს დაელაპარაკონ. ამერიკა ცდილობს, რომ ხელი შეგვიწყოს და მშრალზე გაგვიყვანოს, მაგრამ — არა. რუსეთის გენერლებს დაუჯერეს. ჩვენი ინფორმაციით, მერაბიშვილი და სააკაშვილი გაიძახოდნენ, რუსეთს ცხინვალი არ აინტერესებსო. 2008 წლის აგვისტომ დაადასტურა, როგორ არ აინტერესებდათ ცხინვალი რუსებს.

*— ბატონო პაატა, ისევ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე რომ ვისაუბროთ, 15 დეკემბერს დოკუმენტს ხელი მოეწერება, რის შემდეგაც ბევრი რამ უფრო ცხადი გახდება. ალბათ, დოკუმენტი საჯარო იქნება.*

— წესით, საერთაშორისო დოკუმენტია და საჯარო უნდა იყო. აუცილებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ვებ-გვერდზე უნდა იყოს დადებული, მით უმეტეს, ამ დოკუმენტის რატიფიკაცია პარლამენტმა უნდა მოახდინოს, რადგან საერთაშორისო დოკუმენტია და საერთაშორისო დონეზე მოეწერება ხელი. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ გაასაიდუმლოონ. გაიხსენეთ აბსოლუტურად უწყინარი დოკუმენტი, მემორანდუმი „ინტერ-რაოსა“ და საქართველოს შორის ენგურჰესის ექსპლუატაციის შესახებ. ეს მემორანდუმი დღემდე აბსოლუტურად უსაფუძლოდ და ულოგიკოდ არის გასაიდუმლოებული. ამიტომ, არაფერს გამოვრიცხავ.

# გიორგი ტუღუშმა ბიძინა ივანიშვილის შესახებ გასაიდუმლოებული ინფორმაცია მოიპოვა

შალვა ჯოხაძე



გიორგი ტუღუში

მიხეილ სააკაშვილი ყველას, ვისაც ფეხი აუცდებოდა და საქართველოში აღმოჩნდებოდა, მოქალაქეობას ურიგებდა. განსაკუთრებით, რუსებს სწყალობდა, აქაოდა, პუტინი გავაბრაზოო. ახლა კი თავად გაბრაზდა, ბიძინა ივანიშვილზე გული მოუვიდა და მოქალაქეობა წაართვა. დღეს საითაც უნდა გაიხედო, ყველა მხრიდან ისმის მოთხოვნა, რომ ივანიშვილსა და მის მეუღლეს მოქალაქეობა აღუდგინონ.

ამ თემაზე კარგა ხანს დუმდა სახალხო დამცველი, თუმცა, მას მერე, რაც გიორგი ტუღუშს ეკა ბესელიამ მიმართა, ომბუდსმენი ალაპარაკდა. ის აცხადებს, რომ საქმეს კარგა ხანია იკვლევს და ცოტა ხნის წინ ხელისუფლების მიერ ამ დრომდე გასაიდუმლოებული ინფორმაციაც მოიპოვა.

— 20 ოქტომბერს საკუთარი ინიციატივით დავიწყე ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინე ხვედელიძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხის შესწავლა.

საკითხის შესწავლის მიზნით, 21 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარეს გიორგი ვაშაძეს წერილით მივმართეთ და გამოვითხოვეთ ინფორმაცია, თუ რის საფუძველზე შეუწყდათ საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილსა და ეკატერინე ხვედელიძეს. ასევე, გამოვითხოვეთ ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით ჩატარებული საქმის წარმოებების მასალები და ამ პირებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ბრძანებულებების ასლები.

3 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან მიიღო გამოთხოვილი ინფორმაცია და ამჟამად ვაწარმოებთ მათ შესწავლას.

ამ საკითხთან დაკავშირებით, 3 ნოემბერს, სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდა ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ეკა ბესელია, რომელსაც ეცნობა, რომ უკვე ვსწავლობთ ივანიშვილისა და ხვედელიძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხს.

საქმის შესწავლის დასრულებისთანავე გავრცელდება ჩვენი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, — აცხადებს გიორგი ტუღუში.

ეკა ბესელიას თბილისის საქალაქო სასამართლოშიც აქვს შეტანილი სარჩელი, რომლის მიხედვითაც ის სასამართლოსგან საქართველოს პრეზიდენტის 11 ოქტომბრის ბრძანებულების გაუქმებას მოითხოვს, რომლის მიხედვითაც ბიძინა ივანიშვილსა და ეკატერინე ხვედელიძეს მოქალაქეობა შეუწყდათ. სარჩელზე შესაგებელს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო სასამართლოში ორშაბათს, 7 ნოემბერს შეიტანს.

მოგეხსენებათ, რომ ამ პროცესის პარალელურად გროვდება ხელმოწერები, რომლითაც სააკაშვილისაგან ივანიშვილისათვის მოქალაქეობის აღდგენას მოითხოვენ.

საყოველთაო მოთხოვნას უერთდებიან პოლიტიკური პატიმრებიც.

ლევან გოგიჩაიშვილი, თემურ ჟორჟოლიანი, მელორ ვაჩნაძე, ვახტანგ მაისაია, ჯერლიდ ძარია, ანზორ მეზვრიშვილი და ლევან ჩაჩუა ციხიდან ასეთი შინაარსის წერილს გზავნიან:

— ჩვენ, ავტორიტარულ-კლეპტოკრატიული რეჟიმის პოლიტპატიმრები, ვაქვეყნებთ ღია წერილს, რომლითაც გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე მოვლენების მიმართ.

ღვთის წყალობით, საქართველოს პოლიტიკურ არენაზე იკვეთება ამ რეჟიმის საპირწონე ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებას და დატერორებულ მოსახლეობას იმედს უსახავს, რომ ნამდვილად მოხდება მიხეილ სააკაშვილის ავტოკრატიული რეჟიმის დემონტაჟი და დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესიც დაიწყება.

ამ ძალის ჩამოყალიბების ხელის შეშლის მიზნით, სააკაშვილმა და მისმა ელიტამ, მათთვის ჩვეულ სტილში უკვე განახორციელეს რიგი უკანონო ქმედებები, რომლებიც ცნობილ ქართველ მეცენატს, კულტურის, მეცნიერების, სპორტის, ხელოვნების და განსაკუთრებით ქართული ეკლესიის ამაგდარის ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის გაუქმებაში გამოიხატა.

ჩვენ, პოლიტპატიმრები, ამ დახურული სივრციდან ვიმაღლებთ ხმას და მიხეილ სააკაშვილისგან მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ აღუდგინოს ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა და მისი ოჯახის მიმართ რეპრესიები შეწყვიტოს!

ამავდროულად, მოვუწოდებთ პოლიტიკურ ძალებს და ქართულ საზოგადოებას, აიტაცონ ჩვენი მოთხოვნა და მოახდინონ თავიანთი პოტენციალის კოორდინაცია, ყველა ხერხით, არსებული ბერკეტით აიძულონ სააკაშვილი, რათა ბიძინა ივანიშვილს და მის მეუღლეს მოქალაქეობა აღუდგინოს!

ეს საკითხი პრინციპულად მნიშვნელოვანია, რათა საქართველოში შეიქმნას ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენციის პირობები, რაც წინაპირობა იქნება 2012-13 წლებში ჩვენს ქვეყანაში სამართლიანი და დემოკრატიული გარემოს ჩამოსაყალიბებლად, თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად. დგება დრო, როცა საქართველოში უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, სადაც ყველა პოლიტიკურ აქტიორს ექნება არჩევნებში მონაწილეობის და გამარჯვების წინაპირობა.

ვიმედოვნებთ, პოლიტპატიმართა ერთი ჯგუფის ეს მიმართვა ჯეროვნად იქნება აღქმული და მხარდაჭერილი, რის შედეგადაც დასახულ მიზანს მივუახლოვდებით, - აცხადებენ პოლიტპატიმრები.

# როგორ აღმოჩნდა იულია ტიმოშენკოს მხარდამჭერი გლდანის ციხეში

## ბასანკოს უკრაინაში წამება ელის, ის სააკაშვილს თავშესაფარს სთხოვს

შალვა ჯოხაძე

უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს მხარდამჭერი ანატოლი ბასანკო, რომელიც თვეების განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა და მუშაობდა, მის სამშობლოში მიმდინარე პოლიტიკური დაპატიმრებების ტალღაში მოჰყვა. ბასანკოს ჩვენს ქვეყანაშიც მოსწვდნენ და უკრაინელებმა საქართველოს მთავარ პროკურატურას მისი დაჭერა მოსთხოვეს. ბასანკო, რომელიც უკრაინული „ინტერფარმის" რიგითი თანამშრომელი იყო, ახლა გლდანის მერვე საპყრობილეში ზის და მიხეილ სააკაშვილისაგან პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. „ინტერფარმი" ტიმოშენკოს მიერ ლობირებულ კომპანიადაა მიჩნეული, რომელმაც „ღორის გრიპის" აფეთქებისას უკრაინაში ვაქცინები შეიტანა. დღეს კი აცხადებენ, რომ ამ ფირმამ ფინანსური მაქინაციები განახორციელა.

ანატოლი ბასანკო კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და მას თბილისის საქალაქო სასამართლომ 3–თვიანი წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა. ბასანკოს ერთ-ერთი ადვოკატის, ქეთი ბექაურის განცხადებით, უკრაინის გენპროკურატურიდან გადმოგზავნილი მასალებიდან ირკვევა, რომ უკრაინელებმა ამ ადამიანის ქართულ ციხეში გამოკეტვა კი არა, მისი დაკავება და კიევში, პეჩორის რაიონის სასამართლოში წარსადგენად ბადრაგირება მოითხოვეს.

ადვოკატის მტკიცებით, სამწუხარო ფაქტი მოხდა, ჩვენმა სამართალდამცავებმა და მთავარმა პროკურატურამ გადმოგზავნილი დოკუმენტის შინაარსი არასწორად გაიგეს. მოსამართლე ნატო ხუჯაძემ, იმის მიუხედავად, რომ ბასანკოს დაპატიმრების არანაირი საფუძველი არ გააჩნდა, დაკავებული ციხეში გაუშვა.


იულია ტიმოშენკო

**ქეთი ბექაური:**

– ბასანკოს დაპატიმრების მოთხოვნა რომც ყოფილიყო, ჩვენი სამართალდამცავებისა და სასამართლოს მოქმედება მაინც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წინასაექსტრადიციო პატიმრობა 40 დღეს არ უნდა აღემატებოდეს.

სასამართლოში უკრაინიდან მოსული დოკუმენტი ისე თარგმნეს, თითქოს ბასანკოს მის სამშობლოში წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდეს და ქართული მხარისაგან მის გადაცემას ითხოვდნენ. ეს მაშინ, როდესაც, პეჩორის სასამართლომ ბასანკოს წინასწარი დაპატიმრების შესახებ დადგენილება მხოლოდ 10 ოქტომბერს გამოიტანა. მანამდე ეს დოკუმენტი არ არსებობდა. საქართველოში კი ეს ადამიანი 27 სექტემბერს დააკავეს.

იყო თუ არა ბასანკო ჩვეულებრივი ძებნილი, რიგითი კრიმინალი? რა თქმა უნდა, არა. სასამართლოში მან განაცხადა, რომ ის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს მომხრე და მხარდამჭერი იყო. არაერთ აქციაში იღებდა მონაწილეობას.

რაც შეეხება მის საქმიანობას, საბროკერო დილერის მოვალეობას ასრულებდა მედიკამენტებით საბითუმო ვაჭრობის ერთ-ერთ შპს „ინტერფარმში", რომელსაც ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო კურირებდა, ლობირებას უწევდა. მას მერე, რაც უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, ტიმოშენკო დააპატიმრეს, ამ ფირმაზეც გავიდნენ. ყველამ კარგად იცის, რა არაადამიანურ პირობებში ამყოფებენ იულია ტიმოშენკოს უკრაინის ციხეში, მას ადეკვატურ მკურნალობასაც კი არ უტარებენ...

ამ წინაპირობიდან გამომდინარე, ბასანკოს მოსაზრებით, მისი დევნა პოლიტიკური ნიშნით ხდება. სამართლებრივად, რამდენად შეიძლებოდა, ბასანკოს ჩაედინა ის დანაშაული, რასაც მას აბრალებენ? საუბარია განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის მითვისებაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესეც გამოგონილია. ბასანკო ამ ფირმის შტატიანი თანამშრომელიც კი არ ყოფილა, უბრალოდ, „ინტერფარმის" საბროკერო დილერი გახლდათ.

როდესაც არ ხარ შტატიანი თანამშრომელი, როდესაც კომპანიის საფინანსო საქმიანობასთან არ გაქვს საქმე, დირექტორიატში არ შედიხარ, არანაირი მატერიალური პასუხისმგებლობა არ გეკისრება. ტიმოშენკოს დაპატიმრების მერე, „ინტერფარმის" გენერალური დირექტორი სარაკავოი, კომერციული დირექტორი ზაკი დააკავეს და ბასანკოზეც გამოცხადდა ძებნა. სხვათა შორის, სარაკავოიზე გვაქვს ინფორმაცია, რომ ის გირაოთი გათავისუფლდა. აღსანიშნავია, რომ ბასანკო თავის დროზე სამართალდამცავებმა დაიბარეს, მოწმის სახით დაჰკითხეს და გამოუშვეს კიდეც. მისთვის არავის უთხოვია, რომ უკრაინა არ დაეტოვებინა.

ბასანკოს ადვოკატების, ქეთი ბექაურისა და მანანა კობახიძის ინფორმაციით, ამ პროცედურების დასრულების შემდეგ, ბასანკომ უპრობლემოდ დატოვა უკრაინის ტერიტორია. მას არ დაურღვევია კანონი, საქართველოს საზღვარი არალეგალურად არ გადმოუკვეთავს. ის საკუთარი პასპორტით გადმოვიდა, თბილისში დასაქმდა, 7 თვის განმავლობაში რესტორანში მუშაობდა. ბასანკოს აქ ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს, მისი დიდი სურვილი იყო, რომ საქართველოში ეცხოვრა.

ქეთი ბექაურისა და მანანა კობახიძის განცხადებით, განსაკუთრებით შემაშფოთებელია უკრაინის გენერალური პროკურატურიდან ბოლოს გამოგზავნილი წერილი, რომელშიც იქაური ოფიციალური პირი პრიშკო ჩვენი მთავარი პროკურორის მოადგილე ჩხატარაშვილს პირდაპირ მოუწოდებს, დაუყოვნებლივ გადასცენ ანტონ ბასანკო, რომელიც აუცილებლად გასამართლდება, მოიხდის სასჯელს და ამის შემდეგ შეუძლია, სადაც უნდა, იქ წავიდეს. ადვოკატების განცხადებით, ეს საყოველთაოდ აღიარებული კანონმდებლობის, უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაა.

**მანანა კობახიძე:**

– მიგვაჩნია, რომ არსებობს რისკი, თუ ბასანკო გადასცეს უკრაინას, ის იქ სასტიკი, არაადამიანური და წამების პირობებში მოექცევა. მით უმეტეს, გვაქვს „ემნისტი ინტერნეიშნალის", „ჰელსინკი ვოჩის" დასკვნა, თუ რა პირობებში იმყოფებიან იულია ტიმოშენკო და სხვა პოლიტპატიმრები.

7 ნოემბერს გადის ამ 40 დღიანი პატიმრობის ვადა, წესით, რაც უნდა შეეფარდებინათ ბასანკოსათვის, ამიტომაც, სასამართლოს წინაშე საკითხს დავაყენებთ, რომ ის მინიმუმ, გირაოს საფუძველზე გათავისუფლდეს. მოვითხოვთ, რომ საქართველოს სასამართლომ საერთაშორისო კანონმდებლობით იხელმძღვანელოს. ეს ადამიანი სამი შვილის მამაა, მოხუცი და დაავადებული დედა ჰყავს, თავადაც ასთმა აქვს. არსად გაქცევას არ აპირებს, მზადაა, რომ გირაო გადაიხადოს.

ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ ბასანკოს სულაც არ მიუსაჯონ ექსტრადირება, თუმცა, რადგანაც საქართველო უკრაინასათან მეგობრობაზე დებს თავს, ისიც ადვილი შესაძლებელია, მათ არ აწყენინონ.

როგორც აღვნიშნეთ, ბასანკო საქართველოში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს.

**ქეთი ბექაური:**

– მე და ქალბატონმა მანანამ შევადგინეთ შესაბამისი დოკუმენტაცია და მერვე საპყრობილის კანცელარიაში დავტოვეთ, როგორც ეს არის მიღებული. ისინი დაგვპირდნენ, რომ მაშინვე გადაგზავნიდნენ პრეზიდენტის სახელზე, მაგრამ ასე არ მოიქცნენ. შემდეგ ამ დოკუმენტაციის გამოტანაზეც პროიბლემები შეგვექმნა, გვეუბნებოდნენ, პრეზიდენტის კი არა, ადმინისტრაციის სახელზე გავგზავნითო. არადა, ეს საკითხი უშუალოდ პრეზიდენტს ეხება. ბოლოს, დიდი ომით მივაღწიეთ, რომ დოკუმენტი მიხეილ სააკაშვილის სახელზე შედგენილიყო. ეს მოთხოვნა რამდენიმე დღის წინ პირადად მივიტანე პრეზიდენტის სასახლეში. მოთხოვნას თან ახლავს შესაბამისი დოკუმენტაციაც, თუ რა ხდება უკრაინის ციხეში, როგორ ექცევიან დაკავებულებს და რომ ბასანკოც საფრთხეშია.

# კონსერვატიული პარტია თავის წევრებს სხვა პარტიის წევრებთან მეგობრობას უშლის

ქეთი ხომერიკი

**რატომ ატოვებინებენ პარტიის რიგებს კონსერვატიული პარტიის წევრებს და რატომ უშლიდა სახალხო კრების აქციებზე მისვლას პარტიის აქტივისტებს ძიძიგური? „ახალი თაობა" კონსერვატიული პარტიის ყოფილ წევრს, ან უკვე თავისუფალი საქართველოს წარმომადგენელ ლადო ბულბულაშვილს ესაუბრა.**

**ლადო ბულბულაშვილი:**

– 2008 წლიდან 2011 წლის 21 მაისამდე გახლდით კონსერვატიული პარტიის ახალგაზრდულის თავმჯდომარე. მოგეხსენებათ, 21 მაისს დაიწყო სახალხო კრების აქციები, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, ოღონდ არა როგორც კონსერვატიული პარტიის წევრი, არამედ როგორც რიგითი მოქალაქე. 22 მაისს კი კონსერვატიულ პარტიაში მისვლისთანავე დაცვის უფროსმა განმიცხადა, დღეიდან აქ აღარ მუშაობ, ძიძიგურმა მითხრა მეცნობებინა ეს შენთვისო. რამდენიმე დღით ადრე კი აღმოვაჩინეთ, რომ დაკარგული იყო საოფისე ნივთი, რომელიც ეკუთვნოდა კონსერვატიულ პარტიას და რომელზეც პასუხისმგებლობას მაკისრებდნენ მე და ჩემი პარტიიდან გარიცხვის მიზეზად მაშინ ეს ფაქტი დაასახელეს. მოკლედ, ძიძიგურმა ამ მიზეზით დამატოვებინა პარტიის რიგები.

***– რა ნივთზეა საუბარი, რატომ გეკისრებოდათ პასუხისმგებლობა თქვენ და რა იყო თქვენი პარტიიდან გარიცხვის რეალური მიზეზი?***

– ეს არის საკმაოდ ძვირადღირებული პროექტორი, რომელიც სავარაუდოდ, დაიკარგა ჩვენი გადასვლის დროს ახალ ოფისში. ჩვენ ეს ნივთი ახალ ოფისში გადასვლიდან დაახლოებით ხუთი თვის შემდეგ მოვიკითხეთ და იქიდან გამომდინარე, რომ მე პარალელურად ვიყავი ეროვნული საბჭოს აიტი მენეჯერი, ელექტროტექნიკაზე პასუხიმგებლობა მეკისრებოდა. პარტიიდან გამოშვების რეალური მიზეზი დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გავიგე. 25 მაისს აქციის დარბევის დროს კინო რუსთაველის შენობაში მეც დამაკავეს და ერთი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში. საპატიმროში ყოფნის დროს ჩემი მშობლები დაუკავშირდნენ კონსერვატიული პარტიის ოფისს და სთხოვეს განემარტათ, თუ რატომ არ მაქცევდნენ ყურადღებას ციხეში, ასევე აინტერესებდათ, თუ რა იყო პარტიიდან ჩემი გარიცხვის რეალური მიზეზი. სატელეფონო საუბარში კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა განუცხადა დედაჩემს, რომ მე ვიყავი რუსეთის აგენტი, რადგან დავდიოდი სახალხო კრების აქციებზე, რომელსაც მათივე თქმით, აფინანსებდა რუსეთი. შეგახსენებთ, რომ ამ აქციებში კონსერვატიული პარტია არ მონაწილეობდა, შესაბამისად, მაშინ ვიფიქრეთ, რომ ჩემი პარტიიდან გაშვების მიზეზიც, მხოლოდ და მხოლოდ აქციებში მონაწილეობა იყო.

***– აბა, რა იყო რეალური მიზეზი? ისე, ძიძიგური პარტიის წევრებს სახალხო კრების აქციებზე მისვლას გიკრძალავდათ?***

– ძიძიგურსა და კონსერვატიული პარტიის წევრებს არ დაუშლიათ ჩემთვის აქციაზე მისვლა, თუმცა, რომც დაეშალათ, მე მაინც წავიდოდი იმ აქციაზე. პარტიიდან ჩემი გამოშვების რეალური მიზეზი, როგორც გითხარით, თავიდან ყველას გვეგონა, რომ კრების აქციებზე სიარული იყო, მაგრამ ამ ამბიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მამაჩემთან საუბარში კონსერვატიული პარტიის კიდევ ერთმა ლიდერმა პარტიიდან ჩემი გაშვების მიზეზად მის პოლიტიკურ ოპონენტთან ჩემი მეგობრობა დაასახელა.

***– პოლიტიკურ ოპონენტში ვის გულისხმობდა, კუკავას?***

– დიახ, ჩემს მეგობარ კახა კუკავას, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ წამოვიდა კონსერვატიული პარტიიდან და შექმნა თავისი პარტია თავისუფალი საქართველო. იქიდან გამომდინარე, რომ არა მარტო, კახა კუკავასთან, არამედ თავისუფალი საქართველოს წევრებთან მქონდა მეგობრული ურთიერთობა (რადგან 2008 წლიდან მოყოლებული ჩვენ ერთ გუნდში ვიმყოფებოდით), საკმაოდ ხშირად, სამსახურის შემდეგ ვნახულობდი ჩემს მეგობრებს, მათ შორის, კახა კუკავასაც.


ლადო ბულბულაშვილი

***– ძიძიგური თავის ყოფილ თანამებრძოლთან პარტიის წევრებს ურთიერთობას უშლიდა და არ დაიშალეთ, პარტიის წევრების პირად ურთიერთობებს აკონტროლებენ კონსერვატიულ პარტიაში? ძიძიგურს კუკავა გულზე აღარ ეხატება, ისინი დაპირისპირებულნი არიან?***

– მას ჩემთვის არასდროს დაუშლია კუკავასთან ურთიერთობა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რაც მე გამიკეთეს, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ კონსერვატიული პარტია თავის წევრებს სხვა პარტიის წევრებთან მეგობრობას უშლის. მე ვერ გეტყვით ძიძიგურსა და კუკავას შორის არის თუ არა დაპირისპირება, ეს სჯობს ან ერთს ჰკითხოთ ან მეორეს, მე, უბრალოდ, არ ვიცი. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მე ვიყავი დაკავებული, კონსერვატიულ პარტიას ჩემ მიმართ არ გამოუჩენია ოდნავი ინტერესიც კი. მე, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ პარტიის რიგით წევრებს, რომლებთანაც ვმეგობრობ. და ეს მაშინ, როდესაც ეროვნულმა საბჭომ 26 მაისის შემდეგ გახსნა შტაბი და ცხელი ხაზი და ისინი ჰპირდებოდნენ დაკავებულთა ახლობლებს დახმარებას, ინფორმაციის მოძიებას თუ სად იმყოფებოდნენ დაკავებული ადამიანები და ა.შ. პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ყურადღებას მაქცევდნენ მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრები და კახა კუკავა, ვგულისხმობ ამანათებს, ადვოკატის მომსახურებას და ა.შ. კუკავა პირადად დამხვდა საპატიმროსთან და უზრუნველყო თბილისში ჩემი ჩამოყვანა.

***– ძიძიგურიც, ხელისუფლების არ იყოს, ასე მარტივად აწეპებს ადამიანებს რუსეთის აგენტის იარლიყს, თანაც, საკუთარი პარტიის წევრს? რა გითხრათ ძიძიგურმა წამოსვლისას?***

– მინდა გითხრათ, რომ ძიძიგური წამოსვლისას არ მინახავს, რადგან მან არ ისურვა აეხსნა ჩემთვის, რატომ მიშვებდა პარტიიდან და ეს დაცვის უფროსის პირით შემომითვალა.

# არის თუ არა საქართველოში ეკონომიკური კრიზისი მოსალოდნელი?

შორენა კოწოწაშვილი

**ეკონომიკური ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი ხელისუფლებას ურჩევს ნაჩქარევი ეკონომიკური ინიციატივები არ დააპიაროს. მისი თქმით, ბევრ პოზიტიურ ნაბიჯზე შეიძლება ერთი ჩინოვნიკის განცხადებამ ვითარება საბოლოოდ უარყოფითისკენ შეატრიალოს.**

რამდენად სწორი პოლიტიკურ-ეკონომიკური გათვლები აქვს საქართველოს მთავრობას და ვინ შეიყვანა შეცდომაში სააკაშვილი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილთან.

*– ბატონო სოლომონ, როგორ შეაფასებდით მთავრობის მიერ ეკონომიკური კუთხით წამოწყებულ ცვლილებებს?*

– მიმაჩნია, რომ ხელისუფლების 10 პუნქტიანი გეგმა – ეკონომიკური წინსვლის სტრატეგია, არა შიდა ფაქტორებიდან, არამედ გარე ფაქტორებიდან გამომდინარეობს. ეს არის იმ ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა, რომელიც იმ კრიზისიდან გამომდინარეობს, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა. არა მარტო საბერძნეთია ცუდ მდგომარეობაში, არამედ ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა აქვს ასევე ესპანეთს, პოტრუგალიას. ეს პროცესი დომინოსავითაა და შეიძლება ევროპის ყველა ქვეყანა ჩაიძიროს. ეს პროცესი შეიძლება აქეთაც გამოყვეს და საქართველოსაც დაარტყას ხელმეორედ. ამიტომ ეს ნაბიჯები, ვსაუბრობ, მთავრობის 10 პუნქტიან გეგმაზე, უფრო ადეკვატურია იმისა, რომ სპონტანურად, მაგრამ გარკვეული მეხამრიდები ჩადონ იმისათვის, რომ ეს პროცესები საქართველოში არ გადმოვიდეს.

***– ანუ მთავრობას ეკონომიკური კრიზისის გაძლიერების შიში აქვს?***

– კი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში ნაკლებად ვართ ჩართული და არც ტრანსნაციონალური კომპანიების რაოდენობით გამოვირჩევით, მაინც კრიზისის გარღმავებასთან ერთად საქართველოში შემოსული ინვესტიციების რაოდენობა მცირდება. ასევე, მცირდება ტრანსფერები, რომელსაც სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველები რიცხავენ. ეს იყო დაახლოებით 1 მლრდ-ზე მეტი და 2005 წლიდან იზრდებოდა 100 მლნ-ით წელიწადში. არ ვიცი, ეს ზრდა საქართელოდან ადამიანების გასვლის ზრდით იყო განპირობებული თუ მათი ხელფასების ზრდით. ეს მაჩვენებელი 2008 წლიდან უკან წავიდა. ეს არა მარტო აქ მცხოვრები ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერაა უცხოეთიდან, არამედ გარკვეულწილად ეროვნული ვალუტის გამაგრების საწინდარიც არის. იმიტომ, რომ ეს თანხები ვალუტის სახით შემოდის. გარდა ამისა, უმუშევრობის ზრდა, რომელიც ევროპის ქვეყანაში მიმდინარეობს, ადეკვატურ ასახვას პოულობს იმ ხალხზე, რომელიც საქართველოდან არიან წასულები, ლეგალურად თუ არალეგალურად.

***– ამან შეიძლება ინფლაციის ზრდაზეც იმოქმედოს?***

– თუ ინვესტიციები შენელდება, ეს გარკვეულ პროვოცირებას მოახდენს. კრიზისის ფონზე შესაძლებელია ჩვენმა მთავარმა სავაჭრო პარტნიორებმაც კი შეამცირონ ჩვენთან ურთიერთობა. ჩვენ იმპორტზე ვართ დამოკიდებული. შეიძლება ექსპორტის მოცულობა შემცირდეს, იმპორტი – გაგვიძვირდეს. ამ პროცესებმა შეიძლება ადეკვატური ასახვა ჰპოვოს ჩვენთან. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულად ეს ყველაფერი იქნება იმპორტზე დამოკიდებული და იმპორტი გაგვიძვირდება, ეს პირდაპირ სამომხმარებლო ფასებს გააძვირებს. ამ კუთხით შესაძლებელია დავინახოთ, რომ ინფლაციური პროცესი დაიწყო.

***– სწორი ნაბიჯი გადადგა მთავრობამ ამ 10 პუნქტიანი გეგმის შემუშავებით?***

– ეს 10 პუნქტიანი გეგმა მაინც პოზიტიური ნაბიჯია. მართალია, სპონტანურადაა გაკეთებული, მაგრამ ის, რაც მთავრობის ამ გეგმაში არის ჩადებული იგივე სოფლის მეურნეობის, განათლების, მრეწველობის სფეროების ხელშეწყობა, სამუშაო ადგილების შექმნა – ეს ყოველწლიურად ბიუჯეტში, როგორც ძირითადი მიმართულებები, გაწერილი იყო ხოლმე. მაგრამ ახლა უფრო კომპლექსური სახით წარმოადგინეს. ბიუჯეტიდან გაცემული ფულით და ეკონომიკური სტიმულირებით შექმნილი სამუშაო ადგილები, ინფლაციური პოტენციალის წარმომშობია. მთავარია, რეალური ეკონომიკის ზრდა და მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ხელისუფლებამ ეს უნდა გათვალოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის პირდაპირი დაფინანსება არ უნდა დავიწყოთ. ჩვენ უნდა შევქმნათ სოფლის მეურნეობაში ინფრასტრუქტურა. უნდა ხელი შევუწყოთ სადაზღვევო სისტემის შექმნას. უნდა მივცეთ ფერმერებს მცირე, დაბალპროცენტიანი კრედიტების აღების საშუალება და უნდა განვავითაროთ სალიზინგო მეურნეობა. სოფლის მეურნეობა მუდმივად სახელმწიფო დოტაციას არ უნდა საჭიროებდეს. სოფლის მეურნეობა აქეთ უნდა იყოს შემოსავლების მომტანი. შენ ადგე და ბიუჯეტიდან ერთ მიმართულებას ფული წაართვა და მეორეში გადაიტანო, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. შენ მარტო პირობები უნდა შეუქმნა და არა ის, რომ პირდაპირ სოფლის მეურნეობა აფინანსო.

***– რამდენად სწორ პოზიციას იკავებს საქართველოს ხელისუფლება და პირადად თქვენი პოზიცია როგორია რუსეთის მსოს წევრობაზე?***

– რუსეთის მსო-ში გაწევრიანება რუსეთზე მეტად სხვა ქვეყნებს აწყობს. ეს სხვებისთვის უფრო მომგებიანია, იგივე ამერიკისთვის. დიდ ოცეულში შემავალ ყველა ქვეყანას აწყობს რუსეთის მსო-ში გაწევრიანება. იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, დაბეგვრის სხვა რეჟიმში გადადიან და რუსეთი დემპინგურ ფასებს ველარ დააწესებს და ვერც იმპორტს შეზღუდავს. რუსეთის მთავარი საექსპორტო საქონელი არის ნავთობი და გაზი, რომელიც სულ სხვა რეჟიმში იბეგრება და აქ არაფერი შეიცვლება. ამ მხრივ რუსეთისთვის ისევ ძველებურად იქნება. ხოლო – იმპორტი, რომელიც რუსეთში შემოდის, უდავოდ სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისთვის ძალზე მომგებიანი იქნება. ასევე რუსეთი დაკარგავს მისი საჰაერო სივრცის გადაკვეთისთვის დაწესებული გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც რამდენიმე მილიარდ დოლარს შეადგენს და სხვ. ამიტომ რუსეთის მსო-ში გაწევრიანება უფრო მეტად სხვა ქვეყნებისთვის არის მომგებიანი, ვიდრე რუსეთისთვის. თუმცამ რუსეთისთვისაც პოლიტიკურად გარკვეულწილად მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პროცესებში იქნება ჩართული. მაგრამ ერთი რამეა – რუსეთი შეიზღუდება და ისეთ ნაბიჯებს ველარ გადადგამს, როცა უნდა ემბარგო დააწესოს, როგორც ჩვენთან მიმართებაში გააკეთა მინერალურ წყლებსა და ღვინოზე. ასევე, როგორც შარშან ხორბლის გატანა აკრძალა. 15 მლნ ტონა გამოდის რუსეთიდან და ამით ფაქტობრივად აკრძალა და ფერმერებს მოტივაცია მოუკლა, რომ კიდევ განევითარებინათ ხორბლის მოყვანა. ამან მსოფლიოს ბაზარზე ხორბლის ფასი გაზარდა და სამომხმარებლო ფასების ზრდა გამოიწვია. ასეთ სპონტანურ ნაბიჯებს რუსეთი ველარ განახორციელებს. მახსოვს, 2008 წელს მეორად მანქანებზე ანუ იმპორტზე საბაჟო გადასახადი გაზარდა. ეს იმიტომ გააკეთა რუსეთმა, რომ მხარი სამამულო წარმოებისთვის



დაეჭირა. რუსეთს ასეთი რაღაცეების გაკეთება სჩვევია. ამას მოუსპობს რუსეთს მსო-ში გაწევრიანება. რაც შეეხება საქართველოს პოზიციას ამასთან დაკავშირებით, ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო, იმ ვარიანტში ვართ. ვფიქრობ, ის, რაც ქართულმა მხარემ შესთავაზა, მაინც მნიშვნელოვანია. საბოლოოდ საბაჟო ვირტუალური არეალი იქნება წარმოსახვითი. კარგი იქნება, შემდგომში ამას მოყვეს რუსეთის ბაზარზე ჩვენი პროდუქციის გასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ვიძახით, ჩვენ ღვინის ალტერნატიული ბაზრები გვაქვს, რუსეთის ბაზარი მაინც სხვაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოსახლეობის რაოდენობაა დიდი. გარდა მაგისა, ტრადიციულია ჩვენი ღვინო. ცნობისათვის, ეს ორგანიზაცია 1994 წელს არის შექმნილი და მასში 157 ქვეყანაა გაწევრიანებული. თან, როცა საერთო გაერთიანებაში ექცევი, იმის კანონებს უნდა დაემორჩილო. ერთი მხრივ რომ დადებითია, მეორე მხრივ ნეგატიურია. ეს იცის რუსეთმაც. რუსეთისთვის ეს უფრი პოლიტიკური ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე ეკონომიურის.

***– რუსული მხარე ფაქტობრივად დაიმედებული იყო, ისმოდა განცხადებები, საქართველოს გარეშეც შევალთ მსო-შიო.***

– არა. ჯერ ერთი, რეგლამენტაციაა, მეორეც, ჩემი აზრით, რუსეთს არც აწეობს, რომ ასეთი ფორმით შევიდეს. პირიქით, სხვებიც აწვებიან, რომ მისი შესვლა იყოს სინქრონული და იყოს შეთანხმებული. იმიტომ, რომ მაშინ საქართველო გამოდის, როგორც დაჩაგრული მხარე. E

***– რუსეთს იმედი ჰქონდა, რომ გარკვეული ქვეყნების ზეწოლის შედეგად საქართველოსგან თანხმობას მიიღებდა.***

– არა. რაც არ უნდა თქვა, ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება ბოლომდე პრინციპულად დგას. რაღაც ხომ უნდა გამოგლიჯონ მათაც. შეიძლება მთლად საპირწონე არ არის. ოცნებაში არ უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ ახლა მაგის გამო აფხაზეთში და ოსეთში შესვლის უფლებას მოგვცემენ და დაკარგულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებენ. რაც მეტს გამოვგლეჯავთ, კარგია ამ შემთხვევაში. ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისთვის და ვირტუალური ეკონომიკისთვისაც რომ წარმოვიდგინოთ.

***– რადგან სოფლის მეურნეობას და ღვინის საკითხებს შევეხეთ, რას იტყვით მინისტრ კვეზერელის ზაზა გოროზიათი ჩანაცვლებაზე? არასწორი პოლიტიკა აწარმოა თუ არა მთავრობამ სოფლის მეურნეობის სფეროში?***

– ერთი ზუსტად ვიცი, როგორც კახელმა კაცმა, რთველი მართლა ორგანიზებულად ტარდებოდა ბოლო წლების განმავლობაში. ვისაც ჰქონდა 10 ჰა-მდე, ბოლო 7 წელია საგარეჯოში არც ერთ გლეხს ყურძნის ჩაბარებაზე პრობლემა არ ჰქონია. ოღონდ ფასები იყო შედარებით დაბალი. ორგანიზებულად ყველა ბარდებოდა თუ არ გქონდა 10 ჰა-ზე მეტი. ვისაც 10 ჰა-ზე მეტი ჰქონდა, ის ვაუჩერს ვერ იღებდა. ეს არის ბოლო წლების განმავლობაში. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პოლიტიკას, ბევრჯერ მითქვამს, რომ პრობლემებია სოფლის მეურნეობაში. ეს არის მთელი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სისუსტე, რადგან სოფლის მეურნეობა არის შემადგენელი ნაწილი მთელი ეკონომიკის. თუ გინდა სოფლის მეურნეობა განავითარო და ხელი შეუწყო ამ სფეროს განვითარებას, მაშინ სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ, თუ ვინმე ცდებოდა, მარტო კვეზერელი არ ცდებოდა, მაშინ მთლიანად მთავრობა ცდებოდა. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, მე მგონი, ეს უბრალოდ გადაადგილება იყო ე.წ. სოფლის მეურნეობაში ახალი სისხლის შეშვებისთვის. თუ ენერგიაზეა ლაპარაკი, ენერგია არც კვეზერელს აკლდა. თუ ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანად არ იცვლება, მაშინ პიროვნების შეცვლას აზრი არ აქვს.

***– პროფესიონალების ნაკლებობაა სოფლის მეურნეობს სფეროში?***

– უდავოდ. მარტო ამ სფეროში კი არა, პროფესიონალების ნაკლებობაა სახელისუფლო რგოლებში. აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს დაკომპლექტებული პროფესიონალური ნიშნით. მნიშვნელობა არ აქვს, ის რომელი პარტიიდან იქნება.

***– და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილთან მიმართებაში ხელისუფლების ნაბიჯები აგონიაში მყოფი ხელისუფლების ქმედებად ფასდება. ის, რაც „ქართუ ბანკთან“ მიმართებაში მოხდა, ურტყავს თუ არა ინვესტიციების შემოსვლას ქვეყანაში? სწორი პოზიცია დაიკავა ეროვნულმა ბანკმა?***

– ძალიან საფრთხილოა განცხადებები ბანკების მიმართ არა მარტო ინვესტორებისთვის, არამედ თვითონ შიგნით მოსახლეობისთვის. როდესაც ბანკის მიმართ აკეთებ განცხადებას, ბანკი ისეთი მგრძნობიარე მექანიზმია, რომ ყოველთვის ცდილობენ ფიზიკური ი და იურიდიული პირები იქედან ანგარიშები გადაიტანონ სხვა ბანკებში. ამიტომ ხელისუფლების და იგივე ეროვნული ბანკის განცხადება უნდა იყოს ძალიან ფრთხილად გაკეთებული რომელიმე კერძო ბანკის მიმართ. ასეთი ფაქტები ჩვენ გვქონდა. კარგად მახსოვს, ყოფილმა პრემიერმა ნოღაიდელმა საპარლამენტო ტრიბუნიდან გააკეთა განცხადება თუ არ ვცდები, „ინტელექტბანკთან“ დაკავშირებით, მე შენ დაგანგრევო. ასეც მოხდა. ამიტომ არ ვთქვათ, რომ ბანკების საწინააღმდეგო მექანიზმები არ აქვთ. ეს ყველაფერი ბანკებზე მოქმედებს, ნებისმიერი განცხადებაც. ამან, შესაძლებელია გარკვეულწილად ინვესტიციებიც შეაფერხოს და ხელი შეუშალოს ინვესტიციების შემოდინებას. ახლა თუ კრიმინალია და ამაზე დამაჯერებელ განმარტებას უტყვიან, მაშინ ეს სხვაა. ყოველ შემთხვევაში, რასაც ჰქვია ანატომიურად ვერ წარმომიდგენია ფულის გათეთრება უზრუნველყონ ინკასატორებმა და ა.შ. ფულის გამთეთრებელი უნდა იყოს სხვა. ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვინც ფული გადმორიცხა და ვინც ამ ფულის მეპატრონე იყო. თუ იმას აქვს არალეგალური ფული, ასეთ შემთხვევაში უნდა ამ ფულის ლეგალიზაცია, ეს არის სხვა თემა. უნდა დაასაბუთო, რომ ამ ფულის წარმოშობა იყო არალეგალური და ინკასატორები აქ არაფერშუაშია. ამიტომ ვამბობ, ბანკებთან მიმართბაში განცხადებების გაკეთება ძალიან საფრთხილოა.

***– გამართლებულია სააკაშვილის ინიციატივა 45 წელს ზემოთ ადამიანების დასაქმებასთან დაკავშირებით? მან თქვა, ვინც 45 წლის ზემოთ ადამიანებს დაასაქმებს, საშემოსავლო გადასახადისგან გავათავისუფლებო.***

– არ ვიცი, ვინ შესთავაზა 45-დან 60 წლამდე ადამიანების ამ ფორმით დასაქმება და გადასახადების დიფერენციაცია ამ კუთხით. ეს არის ყოვლად გამორიცხული. ვურჩევდი სააკაშვილის მრჩევლებს, რომ ასეთი ნაბიჯი არ დაუშვან. თუ სოციალურ დაზღვევას იხდის, მაშინ იმას აღარ გადაუხადოს?! დამსაქმებელზე მაქვს ლაპარაკი. ამას თავის ეკონომიკური ბუნება სულ სხვაგვარი აქვს. ეს უნდა ზუსტად აუხსნან პრეზიდენტს, რათა ასეთი სპონტანური განცხადებები და გადაწყვეტილებები არ იქნეს მიღებული.

## 2011 წელი ერთნიშნა ინფლაციით დასრულდება

ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე ვარაუდობს, რომ 2011 წელი ერთნიშნა ინფლაციით დასრულდება და ინფლაციის მაჩვენებელი მაქსიმუმ 8%-მდე დაბალანსდება.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. მისი ინფორმაციით, ოქტომბრის ინფლაცია 2010 წლის მაჩვენებლებთან შედარებით მხოლოდ 2,3%-ზე დაფიქსირდა, რაც დადებითი მაჩვენებელია.

– წლევანდელ წელს ერთნიშნა ინფლაციით დავასრულებთ, დაახლოებით, მაქსიმუმ 8%-ის ფარგლებში. დაბალი ინფლაცია ნიშნავს, რომ არსებობს გარემო, რომელშიც ბიზნესს შეუძლია გრძელვადიანი ინვესტიციის გადაწყვეტილება მიიღოს, – განაცხადა დიმიტრი გვინდაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## პროკურორი ლევან საჩიშვილი პასუხისგებაში მისცეს

კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორი ლევან საჩიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. საჩიშვილს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ. თელავის რაიონულმა სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა, – აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ამავე წყარის ინფორმაციით, საჩიშვილმა ერთ-ერთ საქმეზე დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს ბრალი კანონით დადგენილ ვადაში არ წაუყენა, რის გამოც პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდა.

ამ ფაქტის შესახებ პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ მას შემდეგ შეიტყო, რაც კახეთის საოლქო პროკურორი შეიცვალა. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ყოფილი პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დაინიშნა, კახეთის საოლქო პროკურორის თანამდებობა კი პარლამენტის წევრმა, გურჯაანის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი ჩივიაშვილმა დაიკავა.

ლევან საჩიშვილის პასუხისგებაში მიცემის შესახებ პროკურატურაში კომენტარს არ აკეთებენ.

**მედიანიუსი**

# თემურ წიკლაური: „გული არასდროს ბერდება!“

ეკა ირემაშვილი

**ყველასათვის განსაკუთრებულად საყვარელი და გამორჩეული მომღერალი, თემურ წიკლაური, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თავის ერთგულ მსმენელს კვლავ შეხვდა და ორგანყოფილებიანი სოლოკონცერტი სახელწოდებით „ვმღერი ისე, როგორც ემღერება სულს" წარუდგინა. ანსამბლ „ივერიის" ერთ-ერთი გამორჩეული სახე და უცვლელი არწივი ამბობს, რომ ამ დღისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა. დაუსრულებელი რეპეტიციები, გამღერებები, რეპერტუარის შედგენა თუ ორკესტთან მუშაობა უკვე წარსულს ჩაბარდა და იგი კვლავ წარდგა მსმენელის წინაშე, რომელსაც მომღერლის ხილვა მონატრა.**

ბატონ თემურს მაინცდამაინც არ უყვარს იუბილეების აღნიშვნა და ამა თუ იმ საიუბილეო თარიღის აფიშირება, თუმცა, ისე გამოვიდა, რომ ამ სოლოკონცერტით მან ორმაგი იუბილე აღნიშნა – დაბადებიდან 65 და სცენაზე დგომის 45 წლისთავი.

**თემურ წიკლაური, მომღერალი:**

– მაყურებელთან შესახვედრად განსაკუთრებულად მოვემზადე. ანსამბლი „ივერია“ ისევ გავერთიანდით და ამ კონცერტზე ყველამ ერთად ვიფიქრეთ. სცენოგრაფიასა და მხატვრობაზე კი ბასა და თამარ ფოცხიშვილებმა იზრუნეს.

***– ბატონო თემურ, გიყვართ იუბილეები?***

– ისე გამოვიდა, რომ ორმაგი იუბილე ალვნიშნე. დაკონკრეტება არ მინდოდა, რომ 45 წელია სცენაზე ვდგავარ და 65 წელი შემისრულდა-მეთქი, მაგრამ ასე გამოვიდა. ეს მომენტი ჩემთვის საკმაოდ საპასუხისმგებლოა.

***– კონცერტი თქვენი ერთგვარი ანგარიშის ჩაბარებაა მსმენელისადმი?***

– ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა, როცა გარშემო ასეთი ვარსკვლავთცვენაა, თუმცა, იმედი იმან მომცა, რომ „ივერიისა“ და ჩვენი მთელი ნალვაწი, რომელმაც 45 წელი მოიცვა და თან სდევდა საქართველოში ჩვენს ყოფას, უკვალოდ არ ჩაივლიდა.

***– რეპერტუარი როგორ შეარჩიეთ?***

– საკმაოდ დიდი რეპერტუარი მაქვს. საბოლოოდ 30 სიმღერა შევარჩიეთ, თუმცა, არც მეტის შესრულებას მოვერიდებოდი. უბრალოდ, ძალიან დიდი კონცერტი გამოვიდოდა, ხალხი ვერ გაუძლებდა და გამექცეოდა. ჩემს რეპერტუარში არის ნომრები, რომლებსაც ბევრი დროს სჭირდებათ. თითო ნომერი ხუთი სიმღერის ტოლფასია.

***– ინერვიულეთ?***

– საკმაოდ. მაქსიმალურად შევეცადე, ჩემი სიმღერები შემესრულებინა ისე, როგორც საჭიროა.

***– კონცერტის სამზადისში თანამონაწილეები როგორ შეარჩიეთ?***

– ივერიელები, როგორც წესი, არ გავდივრთ სხვის საძებნელად, ჩვენს სამზარეულოში ჩვენ თვითონ ვიხარშებით, ვიცით, რასაც ვხარშავთ და როგორც ვხარშავთ ხოლმე.

***– ასე ჯობია?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ ვიცით ჩვენი შესაძლებლობები. ადრე კომპოზიტორიც ჩვენი გვყავდა, სცენარის ავტორიც, ლიბრეტოს ავტორიც, ინსტრუმენტალისტებიც ჩვენ ვიყავით, შემსრულებლებიც და ყველაფერს თვითონ ვაკეთებდით. ბატონი ალექსანდრე ბასილაიას ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ ცოტა გართულდა საქმე და „ივერიამ“ კი არ შეწყვიტა თავისი არსებობა, მაგრამ ცალ-ცალკე, ეულად ვმოქმედებთ. ამ ყველაფრის მიუხედავად, ის ივერიული შემართება და პასუხისმგებლობა შეუძლებელია თან არ გვსდევდეს. მთელი ცხოვრება ასე ვიარეთ და აწი რაღა შეგვცვლის. კაცმა დღევანდელ დღეს თავი არ უნდა გაყიდოს ხვალინდელი დღის იმედით, რაც არის, ის უნდა იყოს.

***– სცენარის ავტორობა უცვლელად ჯემალ ბაღაშვილს ანდეთ?***

– რა თქმა უნდა. სხვანაირად არ შეიძლებოდა. ჩვენ ერთად შევადგინეთ სცენარიც, რეჟისურაც, რა და როგორ უნდა ყოფილიყო. სიმღერების სიუხვის გამო გაჭირდა საუკეთესოების შერჩევა. უდიდესი ორკესტრი დამთანხმდა, ჩემთვის აკომპანიმენტი გაეწია. ეს არის ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრი ბატონი ნიკა მემანიშვილის ხელმძღვანელობით. ორკესტრს ბატონმა ავთანდილ მამაცაშვილმა უდირიჟორა. ეს გახლავთ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არაჩვეულებრივად კარგი, თბილი, მუსიკალური და ნიჭიერი ადამიანი. იცით, რატომ იგი? იმიტომ რომ ის ყოფილი ივერიელია. პირველი „ივერია“ რომ ჩამოყალიბდა, მაშინ ბატონი ავთანდილი ამ ანსამბლში მღეროდა. საინტერესო ახლა ის არის, რომ სადირიჟორო პულტთანაც ივერიელი იდგა. ზურგს მიმაგრებდნენ ჩემი ბიჭები – ნუგზარ კვაშალი, ვიქტორ ლალიაშვილი, ბორის შხიანი და გია ბაღაშვილი. მარტო არ დამტოვეს სცნაზე, ცოდო ხარო. არ დამტოვა მარტო ჩემმა მეუღლემ, მეგობარმა და პარტნიორმა ლილი ზღვაურმა. ერთი დუეტი მასთან ერთადაც ვიმღერე, რადგან კარგად გამოგვდიოდა ყოველთვის. ჩემმა ქალიშვილმა ქეთევან წიკლაურმაც ერთი სიმღერა შეასრულა. ამ დიდ პროგრამაში კახა ონაშვილის ბავშვთა გუნდმა „მძლევარმა“ მიიღო მონაწილეობა. ჩვენ ვიმღერეთ და პირველად არ ვიყავით ერთად.

***– თქვენს მეუღლეს რატომ უყვარს ყოველთვის განზე და ჩრდილში დგომა?***

– ჩემი მეუღლე ლილი ზღვაური ჩემი ყველაზე დიდი მეგობარია. ის პროფესიით მსახიობია. ერთმანეთი ანსამბლ „ციცინათელაში“ გავიცანით და თითქმის 45 წელია ერთად სიმღერსიმღერით მოვდივართ. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და პატივს ვცემთ. დროთა განმავლობაში, უბრალოდ, ადამიანებს შორის სხვა ურთიერთობა ყალიბდება – შეჩვევა, ერთმანეთის ზრუნვა და მოვლა, მეტი ყურადღება და ურთიერთპატივისცემა. მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ, გასტროლებზეც ხშირად ერთად დავდიოდით. მეც კარგად ვმღეროდი და ლილიც. ჩვენი დუეტიც შემორჩა. ჩვენი ხასიათი, მისწრაფებები, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, რელიგიური შეხედულებები, სიმღერის სიყვარული საოცრად დაემთხვა. როცა დავოჯახდით, მე 22 წლის ვიყავი, ლილი – 21 წლის. ჩვენ ამ წლების განმავლობაში ეკლიანი ვარდებით მოფენილ გზაზე ვიარეთ. მადლობა ღმერთს, რომ ასე იყო, რადგან, რომ არა ამგვარი გზა, ალბათ, საკუთარ თავს ვერ ვიპოვიდით. დედამიწაზე ხომ ასეა მიღებული – აუცილებელია იმ განსაცდელების გადატანა, რასაც უფალი მოუვლენს ადამიანს. ღვთის წყალობად ჩავთვლიდი ჩემი მეუღლის ასეთ თავდაჭერილობასა და სულიერ სიძლიერეს. მან უდიდესი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა იმ დროს, როცა ჩვენი შვილი, გიორგი, იმქვეყნად წავიდა. რომ არა მისი სიმტკიცე და თავშეკავება, არ ვიცი, ცხოვრებას რამდენად დავუბრუნდებოდი. იმდენი საერთო შეხების წერტილი გაჩნდა მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემსა და ლილის შორის, რომ დღეს უკვე ჩვენი ურთიერთობა სულ სხვა ხარისხში, სხვა სიმაღლეზეა. ისე ვართ ერთმანეთთან, როგორც ამდენი წლის ოჯახს შეეფერება. ჩვენ გვყავს შვილიშვილი ანდრია და ეს ოთხნი ხელიხელჩაკიდებულნი მივსდევთ ცხოვრებას. ბევრს არ ვითხოვთ და, რაც გვაქვს, სიამოვნებით გავცემთ, თუ ეს ქვეყანასა და გვერდში მდგომ ადამიანებს სჭირდებათ, რადგან, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ისევ ხალხის სამსახურში ვრჩებით.

***– ბატონო თემურ, თქვენი ქალიშვილიც მომღერალია. მისი პროფესიის არჩევა თქვენი „ბრალია“?***

– მე და ჩემი მეუღლე საკმაოდ ადრე გავხდით მშობლები. ჩვენ იმ პერიოდში ყოველთვის გასტროლები გვქონდა, სულ ერთად ვიყავით, ამიტომ ჩვენი პირველი შვილი, ქეთევანი, უფრო ბებია-ბაბუასთან იზრდებოდა. ამ გადმოსახედიდან კი მიმაჩნია, რომ მშობელმა მაინც კეთილი უნდა ინებოს და თავად გაზარდოს შვილი. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ქეთევანი ცუდად არის გაზრდილი, გული მეთანაღრება, რომ ის წლები გამოვტოვე, რაც ბავშვის აღზრდისთვის უნდა დამეთმო. ვერ ვისიამოვნე იმ წლებით და ვერ მოვეფერე ისე, როგორც მინდოდა, თორემ ქეთევანი არაჩვეულებრივად აღზრდილი ქალი გახლავთ. ყველამ იცის, რომ ისიც მომღერალია. როცა ის კონსერვატორიაში მოხვდა, საქართველოში ძმათამკვლელი ომი მძვინვარებდა და არავის ეცალა სასწავლებლად, არაფერი ფუნქციონირებდა. შემდეგ უცხო ენების ფაკულტეტი დაამთავრა. ალბათ, დიდი ნიჭი უნდა გქონდეს ადამიანს, რომ ამგვარ სიტუაციაში სწავლა მოახერხო. იმ პერიოდში ანსამბლ „ივერიაში“ მიუზიკლი „ფიროსმანი“ იდგმებოდა და ქეთევანმა მასში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი სხვა პროექტებშიც ჩაერთო. ასე ჩამოყალიბდა თვითმყოფად და ძალიან საინტერესო მომღერლად და მოცეკვავედ. სხვათა შორის, ჩემი შვილი სცენაზე არაჩვეულებრივად მოძრაობს.

***– ბატონო თემურ, სულ რამდენი სიმღერა გაქვთ?***

– 200-ზე მეტი. საიუბილეო საღამო რომ არ ყოფილიყო, შეიძლებოდა სხვანაირად ამ კონცერტისადმი მიდგომა, მაგრამ იუბილე არის ერთგვარი ანგარიშის წარდგენა შენი ერთგული მსმენელისადმი – რა ხარ, ვინ ხარ, რას წარმოადგენ, რა გაგიკეთებია, მართლა ღირს, ამდენი ხნის მანძილზე ტაში დაგიკრან თუ არა.

***– ასე რატომ ფიქრობთ?***

– იმიტომ რომ მე უნდა ვიყო ფორმაში, უნდა ვიყო საკადრისად ჩაცმული, არა დახეულ– დაფხრეწილი სამოსით, არამედ ისე, როგორც ამას მიჩვეულია მაყურებელი და პირველ რიგში – მე.

***– სცენაზე გასვლის შიში ისევ გაქვთ?***



– რა თქმა უნდა. თუმცა, შიში იმისა, სიმღერა ბევრია თუ ცოტა, არ არსებობს. მთავარია, შენი შემოქმედება იყოს მაყურებლისთვის საინტერესო. მომღერალი იმისთვის ხარ, რომ უნდა იმღერო. მომღერლის ვალია, დადგეს და იმღეროს. პირის გაღება და მკვდარი ჩვენთან არ არსებობს. ეს რა ტერმინოლოგია შემოიღეს – ცოცხალი და მკვდარი მუსიკა. წარმოგიდგენიათ? მკვდარი მუსიკა! მომღერალმა ცოცხლად უნდა იმღეროს, აბა, რა უნდა ქნას?! მკვდარი სიმღერა რას ნიშნავს? ე.ი. მკვდრად მღერი? პირის გაღება ხომ მკვდარია. ამით თავის თავს ხომ ატყუებს მომღერალი და ხალხსაც ატყუებს, ღმერთსაც ატყუებს. ეს არ შეიძლება. ეს მათი პრობლემაა, ვინც ასე იქცევა, თორემ ჩემთან ეს პრობლემა არასოდეს არის. იცით, რა მიკვირს, ხალხი რომ კითხულობს, ცოცხალი კონცერტი იქნება თუ მკვდარიო, სულ ვამბობ, ხალხო, ცოცხალი ვარ, ცოცხალი-მეთქი. ამას სატრაბახოდ კი არ ვამბობ, ეს სიმართლეა.

***– ორგანყოფილებიანი კონცერტი ჩვენთან თითქმის არ ტარდება. თქვენ რატომ გადაწყვიტეთ ასე?***

– მართლაც დიდი ხანია, ჩვენთან ორგანყოფილებიანი კონცერტი აღარ ჩატარებულა. ხალხი ამას გადაეჩვია, მაგრამ ჩვენ მაინც ორი განყოფილება გადავწყვიტეთ.

***– რამდენწლიანი პაუზა გამოგივიდათ?***

– კარგა დიდი. ბოლოს ოპერის თეატრში მქონდა კონცერტი.

***– რატომ ასე დიდხანს?***

– არ ვიცი. ამ ეტაპზე სათქმელი დამიგროვდა და კონცერტიც შედგა. ძველ სიმღერებთან ერთად ახალი სიმღერებიც შევასრულე, სულ ახალი რომ მემღერა, ვერავინ გაიგებდა, რა უნდა ამ კაცსო, იტყოდნენ. შესრულდა ის ჰიტები, რომლებიც ხალხს ყურში აქვს, გულში აქვს, ახსოვს და უყვარს. მე რა მიყვარს, ეს ჩემი პრობლემაა. ხალხს რაც უყვარს, ამ შემთხვევაში ის უნდა გააკეთო. ამას ჩემგან გამომდინარე ვამბობ. მე ვერ შევიცვლი იმიჯს, რაც ვიყავი, ისევ ის ვარ და ჩემი ძვირფასი მაყურებელი და მსმენელი ნუ მოელის, რომ ხვალ და ზეგ შევიცვლები და იმას გავაკეთებ, რაც ჩემთვის არ არის სისხლხორცეული.

***– ანუ XXI საუკუნის თემურ წიკლაურს არ ველოდოთ?***

– XXI საუკუნე არ ითვალისწინებს გამყიდველობას, შენი პირადი დამოკიდებულების შეცვლას ღვთისადმი, სამშობლოსადმი, ადამიანისადმი. მაშინ რა გამოდის, XXI საუკუნეში უნდა მობრუნდე და ეშმაკს მიენდო? არ შეიძლება ასე. ჰელოუინი სჯობია ქეიფს? და ყველა უნდა წავიდეთ ჰელოუინზე, ეშმაკების დღესასწაულზე, იმიტომ რომ XXI საუკუნეა? არ არის ეს ჩემთვის მისაღები და ვფიქრობ, ნორმალურად მოაზროვნე ხალხისთვისაც არ უნდა იყოს მისაღები.

***– დროს ფეხი არ უნდა აუწყოთ?***

– ის სტილი, რასაც „ივერია“ აკეთებდა წლების წინ და მეც რასაც ვაკეთებ, არის ის, რაც ყოველთვის იყო, არის და იქნება. ისე არ ვმღერი, რომ არ იყოს საინტერესო. რა ვუყო, ვერაფერს ვერ ვუშვები ამ ხმას და რა ვქნა?

***– საოპერო არიებს ისევ ეტრფით?***

– საოპერო არიები განსაკუთრებულად მიყვარს.

***– დღეს უფრო შოუებს აწყობენ, რომ კომერციული დატვირთვა ჰქონდეს. თქვენ ასეთი საღამოები არ მოგწონთ?***

– შოუს გაკეთებას იმხელა ფული უნდა, რომ ეს ჩემთვის მიუწვდომელია. რეპეტიციებს, კოსტიუმირებას, ხალხის დაკავებას ბევრი თანხა უნდა. ჩემი კონცერტი, თუ არა თბილისის მერია, კულტურის სამსახური და მათი კეთილგანწყობა, ნამდვილად არ ჩატარდებოდა. კარგით, რა, 65 წელია დავაბოტებ ამ დედამიწაზე და, თუ არა ჩემი მეგობრები და ეს უწყებები, ამ საღამოს ვერ ჩავატარებდი.

***– ერთი დღე საკმარისია?***

– არ ვიცი, რა არის საკმარისი და რა – არა, მაგრამ ერთი დღის თანხას ძლივს მოვუყარე თავი და მეორე დღეზე ნამდვილად არ მიფიქრია. სახლს ვერ გავყიდი კონცერტის გამო. ხალხო, დამიჯერეთ, სახლის ფასი აქვს ამ დარბაზში კონცერტის ჩატარებას. მერწმუნეთ, სახლის გაყიდვამდე მიდის ადამიანი, წარმოუდგენლად დიდი თანხაა. იმიტომ არის შეჩერებული კონცერტები და არაფერი ხდება. იქიდან ჩამოჰყავთ გამზადებული პროგრამით ვიღაცები და ბილეთს საოცარ ფასს ადებენ. ჩვენ 164 დღე ვიმუშავეთ ამ სცენაზე განუწყვეტლივ. წარმოიდგინეთ, „ივერიამ“ ამდენი დღე შეუჩერებლად იმუშავა. ჩვენ ასე ვართ მიჩვეული მუშაობას. დღესაც რომ დაიინიშნოს ჩვენი ანსამბლის კონცერტები, სულ ცოტა, 50 კონცერტს ჩავატარებთ. ამას ნამდვილად შევძლებთ. ჯემალ ბაღაშვილის გონიდან და ხელიდან გამომდინარე, ასე არ ხდება? „იუმორინა“ არ არის არაფერი, რომელიც 20-25 კონცერტს უწყვეტად მუშაობს? ეს ცოტაა? დადგებიან და დაიწყებენ, უიმე, ეს „იუმორინაო“. რომ ლაპარაკობენ, მივიდნენ, აბა, იმუშაონ ამდენ ხანს და ნახონ, როგორია. მაგის გაკეთება რა არისო, რომ იძახიან. რატომ არ აკეთებენ? მარტო ლაპარაკი რომ იციან. ქილიკი და ლაპარაკი ადვილია, იმიტომ რომ XXI საუკუნეა.

***– სათქმელი ბევრი გაქვთ?***

– სათქმელი რომ დამიგროვდა, იმიტომაც გამოვედი სცენაზე. თუ სათქმელი არ გაქვს, სახლში უნდა იჯდე. რთულია კონცერტის დღევანდელ დროში ჩატარება. ყველამ იცის, რომ ხელოვანთა ხვედრი საქართველოში არასახარბიელოა. ჩვენ თავის დროზე რომ კონცერტებს ვატარებდით, იმდენად საინტერესო იყო ეს ხალხისთვის, რომ წელიწადში დაახლოებით 350-ჯერ ვიდექით სცენაზე. დღეს ერთი კონცერტის ჩატარება რომ სირთულეს წარმოადგენს, ეს, ალბათ, არც მსახიობთა არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს და არც მომღერლების. ეს ხალხის შეჭირვებაზე მეტყველებს.

***– ახალ რეპერტუარზე მუშაობთ?***

– რა თქმა უნდა.

***– ხმას უვლით?***

– ბატონ ალექსანდრე ხომერიკთან, ცნობილ ტენორთან მაქვს გაკვეთილები, მასთან დავდივარ. ქალბატონი მარინა მასწავლის რაღაცებს კვირაში ორი-სამი დღე. ყელს მოვლა უნდა, მოვლა.

***– როგორ?***

– იგი სულ დაკავებული და ვარჯიშის პროცესში უნდა იყოს. ცოტაოდენი ფიზიოლოგია და ანატომია ხომ გვისწავლია. ადამიანი შედგება კუნთებისა და ძვლებისგან, მეტი არაფრისგან. კუნთს უნდა ვარჯიში. ყველაზე სათუთი და ნაზი სწორედ სახმო იოგებია. როცა არ ავარჯიშებ, ის უკვე მოფამფალებულია. მას ვარჯიში სჭირდება, ოღონდ – სპეციალისტის ყურადღების ქვეშ. როცა ფიზიკური კულტურით ხარ დაკავებული, თუ სპეციალისტი არ გავარჯიშებს, გულს იტკენ.

***– თქვენ ვარჯიშობთ ფიზიკურად?***

– კი, ვვარჯიშობ.

***– საბოლოოდ მაინც ვერ გადაწონა თქვენში ოპერამ?***

– ორივე კარგია – ოპერაც და ესტრადაც. არავის ვეჯიბრები, არც ოპერნიკებს და არც ესტრადის წარმომადგენლებს. ვაკეთებ იმას, რაც მინდა, ამიტომაც დავარქვი ამ კონცერტს – „ვმღერი ისე, როგორც ემღერება სულს!“ აი, ეგრე მინდა და ვმღერი. ვის ვუშლი ხელს? სხვები რომ მღერიან, ხომ არაფერს ვეუბნები. უნდათ და იმღერონ, მეც ასე მომწონს და ვმღერი.

***– თქვენი სიმღერის ფრაზა გამართლებულია – გული არ ბერდებაო?***

– ალბათ, ამართლებს. გული მართლა არ ბერდება.

***– 100 წლისაც არ ვიქნები ბებერი, გული დარჩეს ოღონდ უბერებელიო?***

– არ ვიცი, ჯერ 100 წლამდე ბევრი მიკლია. როცა 100 წლის გავხდები და კონცერტი მექნება, მოდით ინტერვიუზე და გეტყვით, ამართლებს თუ არა ეს ფრაზა და გული დარჩა თუ არა უბერებელი. წესით, ეგრეა, უფროსთა დაკვირვებითა და წინაპართა გამოცდილებით, რასაც პირადად დიდი სიამოვნებით მივდევ, თუ გული კარგი გაქვს და სიკეთით გაქვს აღსავსე, მართლა დიდხანს იცოცხლებ. ბოღმიანი და შურიანი კაცი ეგრევე კვდება, ყველასი შურს, იმას რატომ აქვს ბევრი ფულიო. იმიტომ რომ ის ჭკვიანია და თავაუღებლივ იშრომა.

***– დღეს ხომ ყველას არა აქვს საკუთარი შრომით ბევრი ფული?***

– კი, მაგრამ, თუ აქვს და რომ შეგშურდება, რამე გეშველება? არა? მაშინ რატომ გშურს?!



# რატომ არ დააფასა ხელისუფლებამ ვაჟა-ფშაველა

გულიკო ბალაძე

წელს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წელი შესრულდა. როგორ აღნიშნა საქართველომ ეს გამორჩეული საიუბილეო თარიღი? ამის თაობაზე გვესაუბრება ენათმეცნიერი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, რომელიც ამბობს, რომ ადამიანურ შემოქმედებას ერთიან მსოფლიო საგანძურად თუ წარმოვიდგენთ, რუსთაველის შემდეგ ერთ-ერთი გამორჩეულია ვაჟა-ფშაველა.

ტარიელ ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ ვაჟას 150 წლისთავს მრავალი კონფერენცია მიეძღვნა, მაგრამ სახელმწიფო დონეზე – არც ერთი.

– ადამიანურ შემოქმედებას ერთიან მსოფლიო საგანძურად თუ წარმოვიდგენთ, რუსთაველის შემდეგ ერთ-ერთი გამორჩეულია ვაჟა-ფშაველა, რომელმაც ქართული სამყარო ზოგადსაკაცობრიო მასშტაბით გამორჩეულად და ნიჭიერად წარმოადგინა. ამას ბევრი ხედავს, ამიტომაც, ვაჟას 150 წლისთავს მრავალი სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა თბილისსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფო დონეზე არ ჩატარებულა ერთი შემაჯამებელი საიუბილეო საღამო. არადა, ვაჟა, როგორც ქართველი ერის გამორჩეულად ნიჭიერი შემოქმედი და დიდი საზოგადო მოღვაწე, უთუოდ იმსახურებდა, მისი იუბილე გამართულიყო რუს?აველის თეატრში, სადაც განსაკუთრებით წარმოჩნდებოდა მისი ის ხედვები, რომლებიც დღესაც მეტად აქტუალურია. სამწუხაროდ, ვაჟას, როგორც საზოგადოსა და ეროვნულ მოღვაწეს, ჩვენი ხალხიც კი ნაკლებად იცნობს, – აცხადებს ტარიელ ფუტკარაძე.

***– ბატონო ტარიელ, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, ხალხი ვაჟა-ფშაველას, როგორც საზოგადო მოღვაწეს, არ იცნობსო?***

– ვაჟა თავისი პუბლიცისტური წერილებით და არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედებით, ძალიან სიღრმისეულად და სწრაფად რეაგირებდა თავისი დროის მსოფლიო თუ ეროვნულ საფრთხეებზე. ამ მხრივ სანიმუშოა მისი წერილი: „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“, მისი წერილების ციკლი: „ფიქრები“ და სხვა. ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა და დღესაც აქტუალურია ვაჟას ენობრივი კონცეფცია.

***– რით განსხვავდება ვაჟას ენობრივი კონცეფცია სხვებისგან?***

– სწორედ ენობრივი საკითხის სფეროში საქართველოს დღეს მეტად სჭირდება ვაჟას „რეკომენდაციების“ თუ ანდერძის გათვალისწინება; ამ მიმართულებით ორი ასპექტია საინტერესო: ვაჟას მიერ დანახული დედაენა, როგორც ეროვნული მეობის საფუძველი და ვაჟას დამოკიდებულება სამწიგნობრო ენის ისტორიასა და პერსპექტივებზე.

***– პირველით დავიწყოთ.***

– დედაენა, როგორც ეროვნული მეს ნაწილი და სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, დაბადებიდანვე დაჰყვება ადამიანს. დედაენობრივი აღზრდა და განათლება ადამიანში აყალიბებს ჯანსაღ პატრიოტიზმს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვაჟა-ფშაველას შემდეგი ციტატა: „პატრიოტიზმი როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგალითად, არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვ.“ მეტიც, ვაჟას აზრით, ქართველთა დედაენის – ქართული ენის – სიკვდილი საქართველოს სიკვდილია…

***– ისიც საინტერესოა არაჭკუათმყოფელ ადამიანებში ვის გულისხმობდა?***

– თავისი დროის ლიბერალებსა და ვულგალურ კოსმოპოლიტებს. მათ შესახებ ის წერს: „ახალ თაობაში ისეთი მახინჯი შვილებიც გამოერივნენ, რომელნიც თვით საქართველოსა ჰკლავენ: უარჰყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი! რა არის, მაშ, თუ არა კვლა საქართველოსი?“

***– სოციალ-დემოკრატებს გულისხმობდა?***

– დიახ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობით აღშფოთებული ის აზუსტებს კიდეც ადრესატს და ასე მიმართავს მათ: „ჩვენი „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არასოდეს იქცევა შოვინიზმად… ჩვენდა სამწუხაროდ [თქვენს ბანაკში], ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, თავისი თავის, თავისი ერის უარმყოფელს. ხოლო სხვა ერების ვითომდა მფარველს და მოსიყვარულეს. ვაი ამისთანა სიყვარულს! სიყვარული ერთგვარი უნარია ცხოველთა ბუნებისა და, მით უმეტეს, ადამიანისათვის, ხოლო ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?.. ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმომწონეობაა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწვეული…“

***– მიმბაძველობით გამოწვეული ყოყლოჩინობა დღესაც არაიშვიათია…***

– მკითხველს დავუტოვოთ თანამედროვე პროტოტიპების შეპირისპირება… მე კი აქვე დავძენ, რომ ვაჟა-ფშაველამ ქართველი ერისა და ქართველთა დედაენის წინააღმდეგ ბრძოლად მიიჩნია ე.წ. მეგრული ანბანისა და ე.წ. სვანური ანბანის შექმნა; კერძოდ, პატივცემულ მკითხველს შევახსენებ, რომ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის იმპერია აქტიურად ცდილობს ენობრივ-ეთნიკურად დაშალოს მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართულით – ეროვნული ენით შედუღაბებული ქართველი ერი; ამ მიზნით, რუსი მოხელეები, მათ მიერ დაქირავებული ქართველების გამოყენებით, შეეცადნენ მეგრული და სვანური კილოების მიხედვით შექმნათ სალიტერატურო ენები; ამ ენობრივ დივერსიას ვაჟა ლექსით გამოეხმაურა 1902 წელს; მოვიყვან ერთ ფრაგმენტს: „კაცი ის არის, ცხოვრება ვინც გაატარა ჭამაში და კაცის დანიშნულება მხოლოდა ჰპოვა ამაში… კაცი ის არის, ვინაცა არა კითხულობს გაზეთსა, წიგნისთვის შაურსა ჰზოგავს, მეარღნეს აძლევს მანეთსა. გადაამტერებს ერთმანეთს ქართლსა, იმერეთს, კახეთსა, საკუთარს ანბანს შეუდგენს სამეგრელოს და სვანეთსა. კაცი ის არის, სიცოცხლე ვინაც ატარა ტკბილადა, – სიკვდილის შემდეგ იწოდა დიდყურიანის შვილადა“.

***– ე.ი. ეს საკითხი მაშინაც ასე აქტუალური იყო.***

– რა თქმა უნდა, მაშინაც იდგა საკითხი, ქართველთა ნახევარისთვის წაერთმიათ მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა და მიეჩქმალათ ამ ენის ქმნადობის პროცესში მათი მონაწილეობა. არადა, სულ მცირე, 15 საუკუნის მანძილზე ქართველი ერი – საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველობა (მეგრელები, ლაზები, სვანები, კახელები, მესხები, ჰერები, იმერლები, ჯავახები, თუშები, აჭარლები, რაჭველები, ტაოელები, ქართლელები…) ქმნის სამწიგნობრო კულტურას; შესაბამისად, იგი ყველა ქართველის დედაენაა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობის ჟამსაც კი წირვა-ლოცვა ქართველთა მთელ ტერიტორიაზე ქართული სამწიგნობრო ენით აღესრულებოდა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა: ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, X საუკუნის პირველ ნახევარში სინას მთაზე მოღვაწე იოვანე მინჩხი, X საუკუნის დასასრულის მოღვაწე, ქართული ჰიმნოგრაფის მამა, ცნობილი მოღვაწე სტეფანე სანანოის ძე ჭყონდიდელი, იოვანე პეტრიწი, XVII საუკუნეში მოღვაწე ანტონ ჭყონდიდელი და მრავალი სხვა.

***– საიდანაა ცნობილი, რომ იოვანე პეტრიწი სამეგრელოდან იყო?***

– ამაზე მეტყველებს სულ მცირე ორი ფაქტი: 1. უცხოეთში იოვანე პეტრიწი ცნობილი იყო, როგორც იოვანე აფხაზი; იმხანად აფხაზეთი ერქვა დასავლეთ საქართველოს, რომლის ცენტრალური ნაწილი იყო სამეგრელო; 2. იოვანე პეტრიწმა სამხმიანი საგალობლის მეორე ხმას დაარქვა „ჟირი“, რაც მეგრულად ორს ნიშნავს; მეტი ალბათობით, მან თავისი ხალხური მეტყველების წიაღიდან მოიძია მეორე ხმის აღმნიშვნელი ტერმინი… სხვა არგუმენტების მოყვანაც შეიძლება. ამ და უფრო ადრინდელმა დიდმა მოღვაწეებმა, სხვა კუთხეების შვილებთან ერთად, შექმნეს ზოგადქართული ანბანიც და ქართული სამწიგნობრო კულტურაც; დღეს კუთხური მეტყველების მიხედვით „ახალი“ სალიტერატურო ენების შექმნა ცნობიერი დივერსიაა ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დაშლის მიზნით (და ეს მიზანმიმართულად ხორციელდება; იხ., მაგ., კრემლის იდეოლოგის – ალექსანდრ დუგინის იმპერიული „კონცეფცია“).

***– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველთა ერთ დედაენაზე საუბრობს ისტორიული წყაროებიც…***

– დიახ. მაგალითად, ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელსაც 1790 წელს მოაწერეს ხელი ქართლ-კახეთის, ოდიშის (სამეგრელოს), იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა. ისტორიულ დოკუმენტში მკაფიოდაა ნათქვამი: „ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა (ურთიერთვალდებულებითი) სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“. სხვა ისტორიული წყაროებიც ამას ამტკიცებს. რუსეთის იმპერიის აკადემიკოსად არჩევამდე ეს აზრი საკამათოდ არ გაუხდია ნიკო მარსაც კი; კერძოდ, ის წერდა: „ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები და სხვანი… საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხეულ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის“ (ნ.მარი, 1905).

***– ნიკო მარმა შემდეგ შეცვალა პოზიცია?***

– დიახ, ამის ?ესახებ ივანე ჯავახიშვილი წერდა და ჯობია მას მოვუსმინოთ, კერძოდ, 1912 წელს აკადემიკოსად არჩევის გამო რადიკალურად შეცვლილი ნიკო მარის მხილებისას ივ. ჯავახიშვილი წიგნში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ წერდა: „1908 წელს ნიკო მარი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად „ქართულსა და მასთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს გარდა, ესე იგი ეგრეთ წოდებულ ქართებისა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას, ქართებისა, იბერთა [იგულისხმება მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან“-ო. მაშასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნიკო მარისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის „ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები“, დიალექტები იყო მხოლოდ. ნიკო მარის ზემომოყვანილი დებულების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად იქნება გაოცებული, რადგანაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში: „კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები“ იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეხვდება: „ქართველთმცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი, უგულებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგალითად, სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის „დამახინჯებულ“ თქმად ანუ დიალექტად სთვლიდნენ“-ო… ავტორს დავიწყებია, რომ ამგვარივე „ნაციონალისტური“ შეხედულება მასაც ჰქონდა და 1905 და 1908 წლებში „მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა… 1915 წელს კი წერდა: ქართველებს, მეგრელ-ჭანებს და სვანებს ენობრივად და ტომობრივად იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს“. საინტერესოა ერთი გარემოებაც: ქართველთა ენობრივად დაშლისთვის მებრძოლი მღვდელი იოვანე ვოსტორგოვი 2000 წელს რუსეთის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა; საინტერესოა ისიც, რომ უფრო ადრე, 1995 წელს ვოსტორგოვის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, წმიდა ამბროსი აღმსარებელი XX საუკუნის დასაწყისში მკვეთრად უპირისპირდებოდა ი. ვოსტორგოვის ანტიქართულ ქმედებებს, რომელიც ცდილობდა მეგრელთათვის გაეუცხოვებინა ისტორიული დედაენა – ქართული ენა. ისტორია საინტერესოა აწმყოს გამოც.

***– მართლაც საოცარი ისტორიაა და საინტერესო დამთხვევასთან გვაქვს საქმე?***

– ამ ქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. იმხანად ბრძოლა მოიგო ეპისკოპოსმა ამბროსი ხელაიამ; ბუნებრივია, ის მარტო არ იყო; მას ჰყავდა წინამორბედებიც და მემკვიდრეებიც; მაგალითად დავასახელებ ბოლო ორი საუკუნის სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა ერთ ნაწილს: ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი წმიდა ალექსანდრე (ოქროპირიძე), წმიდა მღვდელმოწამე კირიონი II (საძაგლიშვილი), პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი გრიგოლ (დადიანი), დავით გიორგის ძე დადიანი, ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი, პეტრე ჭარაია, მოსე ჯანაშვილი, ვაჟა-ფშაველა, პეტრე მირიანაშვილი, წმინდა ალექსი (შუშანია), იაკობ გოგებაშვილი, ივანე მარგიანი, ბესარიონ ნიჟარაძე, ლუარსაბ ლოლუა, სოსიკო მერკვილაძე, ვალერიან გუნია, პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, სილოვან ხუნდაძე, ივანე ჯავახიშვილი, თედო სახოკია, თედო ჟორდანია, პავლე ინგოროყვა, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია და მრავალი სხვა.

***– ფაქტია, რომ ჩვენს წინაპრებს საკამათოდ არ გაუხდიათ ეს საკითხი;***

– არც გახდიდნენ, ვინაიდან მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართველთა სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთო ქართველურ ენას და არა რომელიმე ქართველურ დიალექტს; ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია ადასტურებს, რომ თანამედროვე სამწიგნობრო ქართულის ფონემატური, სახელური, ზმნური, სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად საერთო ქართველური ენის იგივეობრივია. ქართველთა საშინაო კილოები კი ამ საერთო ენის მეტნაკლებად შეცვლილი სახესხვაობებია. ეს საკითხი საკამათო გახადეს რუსებმა. როგორც თედო სახოკია აღნიშნავს, რუსების საქართველოში შემოსვლამდე ქართველთა ერთი დედაენის საკითხი არავის გაუხდია საკამათო.

***– ისევ ვაჟა-ფშაველას მივუბრუნდეთ.***

– ვაჟას შემოქმედებაშიც მკაფიოდაა გატარებული აზრი, რომ ეროვნული ენისა (ქართველთა საერთო ენისა) და დიალექტის (სათემო კილოს, ხალხის სასაუბრო ენის) მიმართება ისეთივე უნდა იყოს, როგორც მდინარისა და შენაკადისა: ვინც ცალკეულ შენაკადებს დამოუკიდებელ მდინარეებად გამოაცხადებს, ის ცუდ სამსახურს გაუწევს ნამდვილ მდინარესაც და თვით ამ ნაკადულებსაც“. ქართველთა დედაენის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ვაჟა რუსულენოვანი გაზეთების მომრავლებასაც მიიჩნევდა. კერძოდ, ის წერს: „რა ამბავია ეს ამოდენა ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა რუსულ ენაზე ქართველების მიერ? რისი ნიშანია ეს? რას მოასწავებს? რა აზრი აქვს ასეთ საქციელს? უაზრო ქმედება ხომ არ ეკადრება და არც არავის ეპატიება, მით უმეტეს, ინტელიგენციას. აქვთ ამ ბატონებს აზრი?… სათითაოდ რომ ელაპარაკო ამ ადამიანებს, მხურვალე მამულიშვილობას იჩენენ… დაგიწყებენ მტკიცებას, რომ დედაენა უნდა გავრცელდეს, განვითარდეს, რადგან იგი ათვალისწუნებულია… საქმით ვხედავ და სულ სხვანი არიან: …თავის დედა-ენას, თავიანთ ქვეყანას ძირს უთხრიან, ფესვებს აჭრიან… მერუსულგაზეთე ქართველის მოღვაწეობას თაღლითობას ვეძახი იმ მოსაზრებით, რომ რუსულმა გაზეთებმა წაართვეს მკითხველი ჩვენს გაზეთებს, მაშასადამე, წაართვეს თაყვანისმცემელი მშობელ ენას, ჩამოაცილეს მოწაფეები მშობელ კერას.“ ვაჟას დასკვნით, ქართველი მერუსულგაზეთეები კლავენ როგორც დედაენას და, ასევე, საუკეთესო ქართველ მოღვაწეებს. აქვე, ვაჟა ერთმანეთთან აკავშირებს მწერლობასა და განათლებას და ამბობს: სკოლაც და მწერლობაც უნდა იყოს ქართულენოვანი:

„მწერლობაც ნუთუ იგივე სკოლა არ არის, რომელიც სწვრთნის ყველას, დიდსა და პატარას, ურკვევს აზრებს, გზას ცხოვრებისას, აღძრავს საუკეთესო გრძნობებს, მაშ ის რატომ აღარ უნდა იყოს ეროვნული? რატომ არ უნდა უწყობდეს ხელს, განავითაროს ერმა თავისი გონებრივი და სულიერი ძალები?“ ვაჟას ეს მსჯელობა აქტუალურია დღესაც, რამდენადაც დღესაც არის მასშტაბური მცდელობა, საქართველოში ქართულს, როგორც განათლების, მეცნიერებისა და საქმისწარმოების ენას, ჩაენაცვლოს რომელიმე სხვა უცხო ენა.

## ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში პოეტ მარიამ წიკლაურის წიგნის, „თეთრი ხზორების“ განხილვა მოეწყო

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში პოეტ მარიამ წიკლაურის წიგნის, ლიტერატურული პრემია „გალა 2011“-ის მფლობელის „თეთრი ხზორების“ განხილვა მოეწყო.

„ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა და მწერალმა როსტომ ჩხეიძემ კრებულს გამორჩეული და არაორდინარული გამოცემა უწოდა. მწერლის თქმით, სამწუხაროდ, დღეს 50-100-სიტყვიანი პოეტები და პროზაიკოსები მომრავლდნენ, რომლებსაც თავისი აუდიტორია ჰყავთ, ამიტომ მით უფრო დასაფასებელია, როცა მათ ფონზე ნამდვილ ლიტერატურას აღმოაჩენ. სწორედ ასეთ ნამდვილ ლიტერატურად მიაჩნია მარიამ წიკლაურის პოეზია, რომელშიც ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, მკაფიოდ იგრძნობა ენის ღრმა განცდა.

როგორც მან აღნიშნა, წიკლაურის ლექსებში იგრძნობა საოცარი გულწრფელობა და ბუნებრიობა კრიტიკოსმა და მეცნიერმა მაია ჯალიაშვილმა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მარიამ წიკლაურის წიგნის შესახებ მომზადებული მოხსენება გააცნო და წიკლაურს „სიტყვათა ჩრდილებს ადევნებული პოეტი“ უწოდა.

მომხსენებელმა ბევრი ისაუბრა პოეტის სულიერ სილამაზეზე, მისი შემოქმედების ფერებზე, ასევე სიკეთეზე, სინათლეზე, რომლითაც წიკლაურის ლექსებია გაჯერებული.

ჯალიაშვილის თქმით, მარიამ წიკლაურის შემოქმედება საოცარი ბუნებრიობითა და უშუალობით არის დამუხტული.

ნონა კუპრეიშვილმა ლექსების თემატიკას გაუსვა ხაზი და დასძინა, რომ პოეტს ჩინებული მსოფლმხედველობა და თავისებური ხედვა აქვს.

წიგნის რედაქტორმა თამაზ ტყემალაძემ კი გაოცება და მოწონება გამოთქვა იმის გამო, რომ დედაქალაქში გაზრდილი ადამიანი ისე საოცრად წერს სოფელზე, მის თავისებურებებზე და სიკეთეებზე, რომ მკითხველი იფიქრებს, ავტორი იქ დაბადებული და გაზრდილიაო.

მაკა ჯოხაძის შეფასებით, წიკლაურის შემოქმედებას მოაქვს სიმშვიდე, სისადავე და საოცარი ფერები, რომელსაც გაოცება შეუძლია და ეს დიდი მონაპოვარია. მარიამ წიკლაურის ახალ კრებულზე ისაუბრეს, ასევე ნინო სადღობელაშვილმა, დოდო ხიმშიაშვილმა, რამაზ ბერაძემ, ელდარ ნადირაძემ, ხათუნა ლორთქიფანიძემ და თამილა წოწორიამ.

მედიანიუსი

რამინ და ნანული ამლოთიები, ჯემალ და ირინა გამისონიები დაბადების დღეს ულოცავენ უსაყვარლეს შვილიშვილს ანანო ამლოთიას



# ვინ დააქცევს სიტის, იუვენტუსსა და ბარსელონას



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.11 | ნიუკასლი-ევერტონი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 05.11 | ასტონვილა-ნორვიჩი | 1.83 | 3.6 | 4.2 |
| 05.11 | ბლექბერნი-ჩელსი | 7.0 | 4.4 | 1.44 |
| 05.11 | არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 1.44 | 4.5 | 7.0 |
| 05.11 | მანჩესტერი-სანდერლენდი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 05.11 | ლივერპული-სუონსი | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 05.11 | ქპრ-სიტი | 8.0 | 5.0 | 1.36 |
| 06.11 | ვულვზი-უიგანი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 06.11 | ბოლტონი-სტოკი | 2.45 | 3.4 | 2.8 |
| 06.11 | ფულემი-ტოტენჰემი | 3.1 | 3.3 | 2.3 |

### ნიუკასლი-ევერტონი

ნიუკასლი: **ტრავმ**-გაბრიელ ობერტანი, ჩეიკ ტიოტე, შოლა ამეობი

ევერტონი: **ტრავმ**-ჯონ ჰეიტინგა, ფილ ნევილი, ტიმ კეიჰილი, ვიქტორ ანიშები; დისკვ-მარუან ფელაინი

### ასტონ ვილა-ნორვიჩი

ასტონ ვილა: **ტრავმ**-ერიკ ლიჩა

ნორვიჩი: **ტრავმ**-ზაკ უითბრეიდი, ელიოტ უორდი

### ბლექბერნი-ჩელსი

ბლექბერნი: **ტრავმ**-სკოტ დანი, ვინსე გრელა, მიჩელ სალგადო, რაიან ნელსენი

ჩელსი: **ტრავმ**-ჯონ ობი მიკელი, ენრიკე ილარიო, მაიკლ ესიენი; *დისკვ*-დიდიე დროგბა

### არსენალი-ვესტ ბრომვიჩი

არსენალი: **ტრავმ**-მარუან შამახი, აბუ დიაბი, ბაქარი სანია, ჯეკ უილშირი

ვესტ ბრომვიჩი: **ტრავმ**-პოლ შარნერი, შონ ლონგი

### მანჩესტერი-სანდერლენდი

მანჩესტერი: **ტრავმ**-რაიან გიგზი(?), კრის სმოლინგი, ფედერიკო მაჩედა, ტომ კლევერლი, დარონ გიბსონი, ეშლი იანგი(?)

სანდერლენდი: **ტრავმ**-ფრეიზერ კემბელი

### ლივერპული-სუონსი

ლივერპული: **ტრავმ**-ჯეიმი კარაგერი(?), სტივენ ჯერარდი

სუონსი: **ტრავმ**-სტივენ კოლკერი, ალან ტატე

### ქპრ-სიტი

ქპრ: **ტრავმ**-მატეუ კონოლი, დ.ჯ.კემბელი, რობ ჰალსი, კირონ დაიერი

სიტი: **ტრავმ**-ოუენ ჰერგრივსი; დისკვ-ვინსენტ კომპანი

### ვულვზი-უიგანი

ვულვზი: **ტრავმ**-სტივენ ფლეტჩერი, კევინ ფოლი, რონალდ ზუბარი

უიგანი: **ტრავმ**-კრის კირკლანდი; დისკვ-გარი კოლდუელი

### ბოლტონი-სტოკი

ბოლტონი: **ტრავმ**-დერდიკ ბოიატა, სტიუარტ ჰოლდენი, სემ რიკეტსი, შონ დევისი; დისკვ-რიკარდო გარდნერი

სტოკი: **ტრავმ**-მამადუ სიდიბე, რიკარდო ფაულერი

### ფულემი-ტოტენჰემი

ფულემი: **ტრავმ**-აარონ ჰაგისი, ორლანდო სა, ფილიპ სენდეროსი, სიმონ დევისი

ტოტენჰემი: **ტრავმ**-ნიკო კრანჩარი, უილიამ გალასი, მაიკლ დაუსონი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 9 | 1 | 0 | 36:8 | 28 |
| 2.მანჩესტერი | 10 | 7 | 2 | 1 | 27:12 | 23 |
| 3.ნიუკასლი | 10 | 6 | 4 | 0 | 15:7 | 22 |
| 4.ჩელსი | 10 | 6 | 1 | 3 | 23:15 | 19 |
| 5.ტოტენჰემი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:14 | 19 |
| 6.ლივერპული | 10 | 5 | 3 | 2 | 14:10 | 18 |
| 7.არსენალი | 10 | 5 | 1 | 4 | 20:21 | 16 |
| 8.ნორვიჩი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:15 | 13 |
| 9.ას.ვილა | 10 | 2 | 6 | 2 | 13:13 | 12 |
| 10.სუონსი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| 11.სტოკი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:14 | 12 |
| 12.ქპრ | 10 | 3 | 3 | 4 | 8:17 | 12 |
| 13.ვ.ბრომვიჩი | 10 | 3 | 2 | 5 | 9:13 | 11 |
| 14.სანდერლ. | 10 | 2 | 4 | 4 | 14:12 | 10 |
| 15.ფულემი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:12 | 10 |
| 16.ევერტონი | 9 | 3 | 1 | 5 | 10:13 | 10 |
| 17.ვულვზი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:17 | 8 |
| 18.ბლექბერნი | 10 | 1 | 3 | 6 | 13:23 | 6 |
| 19.ბოლტონი | 10 | 2 | 0 | 8 | 13:27 | 6 |
| 20.უიგანი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:17 | 5 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.11 | მალიორკა-სევილია | 2.87 | 3.25 | 2.45 |
| 05.11 | ბეტისი-მალაგა | 2.7 | 3.25 | 2.6 |
| 05.11 | ლევანტე-ვალენსია | 2.9 | 3.25 | 2.4 |
| 06.11 | რეალი-ოსასუნა | 1.08 | 10.0 | 26.0 |
| 06.11 | სარაგოსა-ხიხონი | 2.05 | 3.3 | 3.6 |
| 06.11 | გრანადა-რასინგი | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 06.11 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.91 | 3.3 | 4.2 |
| 06.11 | რაიო-სოსიედადი | 2.0 | 3.3 | 3.75 |
| 06.11 | ბილბაო-ბარსელონა | 12.0 | 5.5 | 1.25 |
| 06.11 | ხეტაფე-ატლეტიკო | 2.9 | 3.25 | 2.4 |

### მალიორკა-სევილია

მალიორკა: **ტრავმ**-კევინ ლაკრუსი, პაბლო კასერესი

სევილია: **ტრავმ**-ფრედერიკ კანუტე(?), ალვარო ნეგრედო, დიეგო პეროტი

### ბეტისი-მალაგა

ბეტისი: **ტრავმ**-მომო, ანტონიო ამაია, ხავიერ ჩიჩა, როკე სანტა კრუზი, მარიო(?), ვადილო

მალაგა: **ტრავმ**-ენცო მარესკა, კრის სტადსგაარდი(?), ჟულიო ბაპტისტა(?)

### ლევანტე-ვალენსია

ლევანტე: **ტრავმ**-რაფა ხორდა(?)

ვალენსია: **ტრავმ**-ენვერ ბანეგა, ბრუნო, სერხიო კანალესი, ჰედვიგ მადურო

### რეალი-ოსასუნა

რეალი: **ტრავმ**-კაკა, ალვარო არბელოა(?), მარსელო, რიკარდო კარვალიო

ოსასუნა: **ტრავმ**-მარკ ბერტანი, ჯუკა რაიტალა, სერზიო, ალვარო გეხუდო, როვერსიო, როლანდ ლამა

### სარაგოსა-ხიხონი

სარაგოსა: **ტრავმ**-აბრაჰამ მინერო, ადამ პინტერი, ნობრეგა ბრაულიო; **დისკვ**-ფერნანდო მეირა

ხიხონი: **ტრავმ**-ალბერტო ლორა(?), ნანჩი კასესი

### გრანადა-რასინგი

გრანადა: **ტრავმ**-არავინ

რასინგი: **ტრავმ**-ხაირო სამპერიო, ლაუტარო აკოსტა, კენედი ბაქიროღლუ(?); **დისკვ**-პაპა კოულ დიოპი

### ესპანიოლი-ვილიარეალი

ესპანიოლი: **ტრავმ**-ხავი მარკესი(?), ხუან ალბინი, ფელიპე მაჩიონი

ვილიარეალი: **ტრავმ**-ხავიერ გამუნასი(?), მარკოს სენა, კრისტიან ზაპატა, კანი, მარკოს რუბენი(?), ჯუზეპე როსი, კარლოს მარჩენა(?), ნილმარი

### რაიო-სოსიედადი

რაიო: **ტრავმ**-რაულ ტამუდო, რაულ ბრავო, პედრო ბოტელიო; დისკვ-ხავი არიბასი

სოსიედადი: **ტრავმ**-დავიდ ზურუტუზა, ილირამენდი(?)

### ბილბაო-ბარსელონა

ბილბაო: **ტრავმ**-იგორ გაბილონდო(?), დავიდ ლოპესი(?), ბორხა ეკიზა(?), ფერნანდო ამორებიეტა, კარლოს გუპრეგი, იგორ მარტინესი, ხავიერ კსტილიო

ბარსელონა: **ტრავმ**-პედრო, იბრაჰიმ აფელაი

### ხეტაფე-ატლეტიკო

ხეტაფე: **ტრავმ**-პედრო ლეონი, ტეპო მასილელა, ოსკარ უსტარი, ხაიმე გავილანი; **დისკვ**-რუბენ პერესი

ატლეტიკო: **ტრავმ**-ფრანსისკო ხუანფრანი, დიეგო კოსტა; დისკვ-მარიო სუარესი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 10 | 8 | 1 | 1 | 32:6 | 25 |
| 2.ბარსელონა | 10 | 7 | 3 | 0 | 32:4 | 24 |
| 3.ლევანტე | 10 | 7 | 2 | 1 | 17:7 | 23 |
| 4.ვალენსია | 10 | 6 | 3 | 1 | 15:9 | 21 |
| 5.სევილია | 10 | 4 | 5 | 1 | 11:8 | 17 |
| 6.მალაგა | 10 | 5 | 1 | 4 | 12:14 | 16 |
| 7.ესპანიოლი | 10 | 5 | 0 | 5 | 9:13 | 15 |
| 8.ოსასუნა | 10 | 3 | 5 | 2 | 13:17 | 14 |
| 9.ბილბაო | 10 | 3 | 4 | 3 | 15:12 | 13 |
| 10.ატლეტიკო | 10 | 3 | 4 | 3 | 12:11 | 13 |
| 11.რაიო | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| 12.ბეტისი | 10 | 4 | 0 | 6 | 10:15 | 12 |
| 13.ვილიარეალი | 10 | 2 | 4 | 4 | 9:17 | 10 |
| 14.მალიორკა | 10 | 2 | 3 | 5 | 8:16 | 9 |
| 15.სარაგოსა | 10 | 2 | 3 | 5 | 10:20 | 9 |
| 16.სოსიედადი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:14 | 8 |
| 17.ხიხონი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:14 | 8 |
| 18.რასინგი | 10 | 1 | 5 | 4 | 7:15 | 8 |
| 19.გრანადა | 10 | 2 | 2 | 6 | 4:12 | 8 |
| 20.ხეტაფე | 10 | 1 | 4 | 5 | 9:15 | 7 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.11 | პალერმო-ბოლონია | 1.7 | 3.4 | 5.5 |
| 05.11 | ნოვარა-რომა | 3.75 | 3.25 | 2.05 |
| 06.11 | ჯენოა-ინტერი | 2.62 | 3.2 | 2.7 |
| 06.11 | უდინეზე-სიენა | 1.65 | 3.5 | 5.8 |
| 06.11 | ლაციო-პარმა | 1.6 | 3.6 | 6.2 |
| 06.11 | მილანი-კატანია | 1.33 | 4.5 | 11.0 |
| 06.11 | კიევო-ფიორენტინა | 2.62 | 3.0 | 2.8 |
| 06.11 | ატალანტა-კალიარი | 2.1 | 3.1 | 3.75 |
| 06.11 | ჩეზენა-ლეჩე | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 06.11 | ნაპოლი-იუვენტუსი | 2.45 | 3.2 | 2.87 |

### პალერმო-ბოლონია

პალერმო: **ტრავმ**-ფაბრიციო მიკოლი, მაურისიო პინილია, იგორ ბუდანი, ლუკა დი მატეო

ბოლონია: **ტრავმ**-ალესანდრო დიამანტი, ალვარო არმადა; **დისკვ**-დანიელე პონტანოვა

### ნოვარა-რომა

ნოვარა: **ტრავმ**-აჩილ კოსერი(?), პაოლო დელაფიორე, სამირ უკანი, კარლალბერტო ლუდი, ანდრეა ლისუზო

რომა: **ტრავმ**-ფაბიო ბორინი, დავიდ პიზარო, ხუანი, სიმონ კიაერი, ბოგდან ლობონტი, ფრანჩესკო ტოტი

### ჯენოა-ინტერი

ჯენოა: **ტრავმ**-დარიო დაინელი(?), ზე ედუარდო; დისკვ-კახა კალაძე

